სარჯიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 5 აგვისტო 2000 №149 (1171) | ფასი 50 თეთრი

დაბრუნება წარსულის და რუსეთიდან ასულის

გაეცანით ბენიამინ ნეთანიაჰუს რჩეულს და „ვიტ ჯორჯიაზე“ ათჯერ მდიდარ მის მეტოქეს

ფიფამ გლობუსი დაატრიალა

ევროპაში მსოფლიოს ჩემპიონატი 24 წელიწადში ერთხელ გაიმართება

გუშინწინ +27
გუშინ +29

საქართველო	**68**
უნგრეთი	**39**

იტალიელებთან გამარჯვებით გულმოცემულმა ქართველმა კალათბურთელებმა გუშინ რაზგრადში, კადეტთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე უნგრეთიც დაჩაგრეს ნზ39. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენები ჩემპიონატის მომდევნო, შესარჩევ ეტაპზე თამაშს სათუოდ აღარ გაიხდიან — საამისოდ დარჩენილი ორი შეხვედრიდან ერთის მოგებაც კმარა.

ქართველები თამაშის იშტაზე ჩანან, მომხდურთ სასტიკად უსწორდებიან და ისეთი პირი უჩანს, რაზგრადში თავს არავის დააჩაგვრინებენ. ვნახოთ, ხვალ ისრაელის ჯერია...

მგელი უნდა იყო, მგელი!

უთხრეს ქეცბაიას და „ვულვერჰემპტონში“ გაყიდეს

ნაბიჯია დარჩენილი, მხოლოდ ერთი ნაბიჯი, მაგრამ სწორედ ეს უჭირს „ვულვერჰემპტონ უონდერერსს“ — ბოლო ორი სეზონია, პირველ დივიზიონში მეშვიდე ადგილზე გადის და პლეი ოფში ვერ ხვდება.

ეს ნაბიჯი თემურ ქეცბაიამ უნდა გადადგას. გუშინ ჩვენებურს საშველი დაადგა და „ნიუკასლს“ თავი დააღწია — „ვულვზმა“ ანუ „მგლებმა“ მასში 900 ათასი გირვანქა გადაიხადეს და ორი წლით დაისაკუთრეს. ამ უქმეებზე ქართველი ნახევარმცველი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, მერე კი ბრიტანეთის სამეფოში მუშაობის უფლების გახანგრძლივებას დაელოდება.

„ბედნიერი ვარ, „ვულვერჰემპტონში“ რომ ჩავირიცხე. ვიცი, რომ ამ გუნდს პრემიერლიგაში გადასვლა სურს და მინდა დავარწმუნო გულშემატკივრები — ჩვენ ამას შევძლებთ“ — ასეთი იყო ქეცბაიას პირველი სიტყვები „მგლების“ სამშობლოში.

გახარებულია ამ საქმის თაოსანიც, „ვულვზის“ მწვრთნელი კოლინ ლი: „თემურს ჩვენს გუნდში მრავალი სიახლის მოტანა შეუძლია. ის სხვადასხვა პოზიციაზე თამაშობს, ჩინებული ტექნიკა გააჩნია და გოლებიც გააქვს. ვფიქრობ, მიზნის მიღწევაში ქართველი უთუოდ შეგვეშველება“.

მაშ ასე, სოხუმის და თბილისის „დინამოები“, კვიპროსული „ანორთოსისი“, ბერძნული აეკ-ი, ინგლისური „ნიუკასლი“... ახლა „ვულვერჰემპტონი“. თავისი მეექვსე გუნდის შემადგენლობაში ქეცბაიას დებიუტს დღეს, „საუთჰემპტონთან“ ამხანაგურ მატჩში ელიან.

მომიკითხეთ ხურცილავა და დამალევინეთ ქართული კონიაკი

გვთხოვა „სლოვანის“ მწვრთნელმა სტანისლავ იარაბეკმა

თბილისის „ლოკომოტივი“ კვლავ უეფას თასზე სათამაშოდ ემზადება. კვირაზე მეტია, თბილისელები კოჯორში არიან შეკრებაზე და ორშაბათამდე იქვე დარჩებიან. 7 აგვისტოს კი ჩარტერული რეისით ბრატისლავას მიაშურებენ სლოვაკეთის ყველაზე ტიტულოვან „სლოვანთან“ ხუთშაბათს სათამაშოდ. სახელოვანი მეტოქე ერგო „ლოკომოტივს“. თავისი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი და სამჯერ თასის მფლობელი, ჩეხოსლოვაკიის გაყოფამდეც საკმაოდ ავტორიტეტული და 1969 წლის ევროპის თასთა თასის მომგები. გასულ სეზონში ბრატისლაველები ჩემპიონატში მესამე ადგილს დასჯერდნენ, თასის გათამაშების დატოვება კი შუა გზაზე მოუხდათ. „სლოვანი“ დღესდღეობით თავის „ტეპელნე პოლეზე“ დღეში ორჯერ ვარჯიშობს და „ლოკომოტივის“ დასახვედრად უძლიერესი შემადგენლობით ემზადება. ასე გვითხრა სლოვაკთა მწვრთნელმა სტანისლავ იარაბეკმა, რომელსაც ბრატისლავაში შევეხმიანეთ და რომელიც თურმე მურთაზ ხურცილავას მეგობარია და ძალიან მოსწონს ქართული კონიაკი... თუმცა სჯობს, მასთან საუბარი მესამე გვერდზე წაიკითხოთ.

სტანისლავ იარაბეკი

დუგლას ბოუტმენ საგანგებოდ სარჯიელისთვის

გოგი დემეტრაძე და ნოდარ ანდრიაძე

ოპოზიცია მოითხოვს...

„დინამოსა“ და ეროვნულ სტადიონთან დაკავშირებული საკითხები კვლავაც მოუგვარებელია, მეტიც, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ მხრივ ბევრიც არაფერი გაირკვევა. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისიის მუშაობა დასასრულს უახლოვდება. კომისიას უდავოდ აქტივში ჩაეთვლება ის ფაქტი, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ამომწურავი მოკვლევა ჩაატარა. ჯერი საბოლოო დასკვნაზეა. აქ კი გარკვეული პრობლემები წარმოიშვა, სახელმწიფო კომისია ორ ბანაკად გაიყო. თემურ მირიანაშვილმა, ნოდარ ანდრიაძემ, გოგი დემეტრაძემ, ილია დათუნაშვილმა და ვაჟა კიკნაძემ არ გაიზიარეს საბოლოო დასკვნის პროექტი. მათი აზრით, ის ერთობ ზერელე და აბსურდულია. ამიტომ ზემოხსენებულმა ხუთეულმა საბოლოო დასკვნის თავისი ვარიანტი შეიმუშავა, რომელსაც სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ გუშინწინდელ სხდომაზე კომისიის დანარჩენი წევრებიც გაეცნენ.

ეს დასკვნა მერიისა და საგადასახადოს წარმომადგენლებმაც მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, თუმც ოპოზიციონერებმა ერთი წევრი მაინც მოისაკლისეს — გოგი დემეტრაძემ განაცხადა, რომ არც ამ დოკუმენტს მოაწერს ხელს, რადგან იგი ერთობ ლიბერალურადაა შედგენილი და რეალურ სიმძაფრეს მოკლებულია. დასკვნის გაცნობისას სახელმწიფო კანცელარიის სოციალური სამსახურის უფროსის მოადგილემ, მერაბ ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ეს ვარიანტი საბოლოო არ არის, იგი გაშალაშინებას საჭიროებს. ჩვენც, დაპირებისამებრ, ჯერაც გაუშალაშინებელ დასკვნას შემოგთავაზებთ, ერთს კი დავძენთ, იგი არასრული სახითაა წარმოდგენილი, რადგან დასკვნის სრულ ვარიანტში მოყვანილი ზოგიერთი დეტალი შემდგენლებისგან დაზუსტებას მოითხოვს...

სააქციო საზოგადოება „ბორის პაიჭაძის“ სახელობის ეროვნულმა სტადიონმა, შექმნილმა სტადიონის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობისა და მასზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების აღდგენის მიზნით, თავისი დანიშნულება ვერ შეასრულა. პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს არცერთი სპორტული სექცია, ჩამკვდარია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრება. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა ყოველივეს ფინანსური გაჭირვებით ხსნის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათ მინიჭებული აქვთ გარკვეული შეღავათები. მაგალითად, განთავისუფლებულნი არიან მიწაზე ერთჯერადი გადასახადებისგან.

სტადიონს 1999 წელს მერიამ სუბსიდიისა და მიზნობრივი დახმარების სახით გამოუყო 505 ათასი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ იჯარა სავაჭრო ობიექტებისთვის კანონმდებლობის დარღვევითაა გაცემული. არ ჩატარებულა კანონით გათვალისწინებული აუქციონები. სავაჭრო ობიექტები თავს არიდებენ გადასახადის გადახდას, მოუწესრიგებელია, ზოგ შემთხვევაში კი სრულიად მოშლილია აღრიცხვა. ზოგჯერ შეუძლებელია სავაჭრო ობიექტების მფლობელების დადგენაც კი. ხოლო ექვსი მოვაჭრე საერთოდ არ არის რეგისტრირებული, სტადიონის მომსახურე პერსონალის შტატები გაბერილია.

ფეხბურთის ფედერაცია სტადიონის საწესდებო კაპიტალის 5 პროცენტის მფლობელი გახდა კანონის დარღვევით, ასევე არსებული კანონის უხეში დარღვევით გახდა საწესდებო კაპიტალის მოწილე შ.პ.ს „თბილისი“. არ არსებობს დოკუმენტაცია სტადიონზე დამონტაჟებული 18000 ინდივიდუალური სკამის შესახებ, სკამთა დიდი ნაწილი განუბაჟებელია, ხოლო თითოეული სკამის ფასი აღწევს 89 აშშ დოლარს. იტალიურმა ფირმა „ფინეურო კონსალტინგს“ არარსებული სამუშაოებისთვის გადაერიცხა 200 ათასი დოლარი. უკიდურესად გაზრდილია დარიცხვები ამორტიზაციაზე.

კატასტროფულია სტადიონის ტექნიკური მდგომარეობა, რაც საფრთხეს უქმნის სტადიონის არსებობას და ადამიანთა სიცოცხლეს. ასევე კატასტროფულია ელექტრო გაყვანილობის მდგომარეობა, ამასთან განათება 1200 ლუქსის ნაცვლად 600 ლუქსია. უხეშადაა დარღვეული ხანძარსაწინააღმდეგო ზომები, უაღრესად ცუდი ვითარებაა სანიტარული თვალსაზრისით. სტადიონი კეთილმოუწყობელია და დამახინჯებულია მისი არქიტექტურული სახე. სათამაშო მინდორი ყოვლად უვარგისია. სააქციო საზოგადოებისთვის ობიექტურ ხელისშემშლელ ვითარებად უნდა ჩაითვალოს გადასახადების მოცულობის ზრდა. ერთ შემთხვევაში გაურკვეველი ვითარება უეფას მიზეზითაცაა. 18000 სკამი ჯერ გრანტის სახით მოგვაწოდა უეფამ, შემდეგ კი კრედიტად ჩაგვითვალა, რის გამოც არსებობს გაურკვევლობა სბაჟოსთან ურთიერთობაში. 29 სავაჭრო ობიექტი გამოყოფილია ვეტერანი ფეხბურთელებისთვის. სამწუხაროდ, გაურკვეველია, რა პრინციპით იქნა შერჩეული ეს 29 ვეტერანი ფეხბურთელი. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ საერთოდ დავიწყებულია აწ განსვენებულ ვეტერან ფეხბურთელთა ოჯახები.

თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი 1996 წლის 1 ივლისიდან არარეგისტრირებულია. შ.პ.ს. „თბილისის დინამოს“ დამფუძნებლებმა 1992 წელს არაკანონიერად ჩაიგდეს ხელთ ს.კ „დინამოს“ დიღმის საწვრთნელი ბაზა და ის მიზერული თანხაც კი არ გადაიხადეს, რაც უნდა გადაეხადათ, არადა, რეგისტრაციის დროს თანხის ნახევარი მაინც უნდა ჰქონოდათ გადახდილი. ამგვარ ვითარებაში, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია, რომ შ.პ.ს. „თბილისის დინამოს“ აქციათა 80 პროცენტი მიეკუთვნა ფირმა ბერმუხას (პრეზიდენტი მერაბ რატიანი), 10 პროცენტი მერაბ ჟორდანიას და მხოლოდ 10 პროცენტი სპორტსაზოგადოება „დინამოს“.

1995 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მინიჭებული საბაჟო შეღავათების წყალობით, კლუბის ხელმძღვანელებმა შემოზიდეს დიდძალი იმპორტული პროდუქცია, იყო ამის 215 შემთხვევა. 1997 წელს ს.კ. „დინამომ“ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭოსთან შეუთანხმებლად, TBC ბანკში დაადგინა დიღმის საწვრთნელი ბაზა 400 ათას დოლარად. აღნიშნული თანხა გადაერიცხა ფაბრიკა „მზიურის“ აქციათა 35 პროცენტის მფლობელ რატიანს (წესით ფაბრიკა „დინამოს“ უნდა დახმარებოდა შემოსავლებით, რეალურად კი პირიქით მოხდა). „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ამ თანხას დააკლო 62 ათას 500 ლარი. ს.კ. „დინამოს“ მიერ აგრობანკიდან 50 ათასი ლარი იქნა გამოტანილი, ვალის უდიდესი ნაწილი (7000 დოლარის გარდა) არ არის დაბრუნებული. კლუბში არ აღმოჩნდა თითქმის არცერთი სატრანსფერო კონტრაქტი.

1995 წელს დინამომ 3 მილიონ 200 ათას დოლარად „მანჩესტერ სიტის“ მიჰყიდა ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე, მის ყოფილ კლუბს „მრეტებს“ კი კუთვნილი წილი არ მისცა. „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ეს საქმე ვაკის რაიონის სასამართლოში შეიტანა, რითაც დაარღვია ფიფას წესდების 59-ე მუხლი. ამის გამო ფიფამ „დინამოს“ დამატებით 20 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა, ამას ემატება „მრეტებისთვის“ გადასახდელი 300 ათასი დოლარი. ტრანსფერების თვალსაზრისით „დინამოში“ უმძიმესი მდგომარეობაა. 1992 წლიდან რამდენიმე ათეული ფეხბურთელია გუნდიდან გაყიდული, მაგალითად, ვლადიკავკაზის „ალანიამ“ ქართველი ფეხბურთელების გაყიდვით სუფთა მოგება 12 მილიონი დოლარი მიიღო. 1995-2000 წლებში „დინამოს“ უეფადან გადაერიცხა მილიონ 950 ათასი შვეიცარიული ფრანკი, ამ თანხის განკარგვაშიც გარკვეული ბუნდოვანებაა. აქედან გამომდინარე ვასკვნით:

კომისია თვლის, რომ არასწორია ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონისა და შ.პ.ს. „თბილისის დინამოში“ შექმნილი კატასტროფული ვითარების ახსნა მხოლოდ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით.

არაერთ საქართველოზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს აქვთ კეთილმოწყობილი სტადიონები და ყავთ მაღალი დონის საკლუბო თუ ეროვნული გუნდები. ვერც იმის მტკიცებას დავეთანხმებით, რომ ფეხბურთი და სპორტის სხვა პოპულარული სახეობები აბსოლიუტურად წამგებიანია. სააქციო საზოგადოება ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობა ვერც სამომავლოდ იძლევა სტადიონის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის გარანტიას. საკუთარი გადასახადების დასაფარავად მოითხოვს შეღავათებს და სუბსიდიებს ბიუჯეტიდან, ასეთ პირობებში, თუკი სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა ესოდენ პესიმისტურად არის განწყობილი, გამოსავალი ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ გამოცხადდეს ტენდერი სტადიონის მფლობელობაზე, ოღონდ ამჯერად კანონის სრული დაცვით. ამასთან ტენდერი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და მასში მეთვალყურის ფუნქცია სხვებთან ერთად მიენიჭოს პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილ სახელმწიფო კომისიას. სასწრაფოდ მოსაგვარებელია „დინამოს“ რეგისტრაციის საკითხი.

მოსაგვარებელია აგრეთვე კლუბის ყოფილ და დღევანდელ ხელმძღვანელთა მიერ აღებული დიდძალი ვალების პრობლემა. ერთხელ და სამუდამოდ სრული სიმართლე და გამჭირვალება უნდა დამყარდეს სატრანსფერო პოლიტიკაში. ბოლომდე უნდა იქნას გამოძიებული სამართალდამცავთა მიერ კლუბში არსებული საფინანსო პოლიტიკა, კომისია მიესალმება კლუბ „დინამოს“ გადარჩენის მიზნით შექმნილ დროებით საბჭოს, ოღონდ ამ საბჭოს მუშაობაშიც მოვითხოვთ სრულ გამჭირვალობას.

კომისია იზიარებს და მხარს უჭერს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ თავმჯდომარის, შსს-ს მინისტრის ბატონ კახა თარგამაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მოხსენებით ბარათში საქართველოს პრეზიდენტისადმი.

შერიფმოვლილი მიხეილ თაყაძე

ბოლო რეპეტიცია

გერმანიიდან დაბრუნებულმა „ვიტ ჯორჯიამ“ იერუსალიმის „ბეითარის“ სტუმრობამდე ბოლო საკონტროლო შეხვედრა გამართა. ვეტერინარებმა ეროვნულ სტადიონზე სოხუმის „ცხუმი“ 7:1 დაამარცხეს. გოლები წყვილად ნოზაძემ, მელქაძემ და სულთანიშვილმა გაიტანეს. ერთხელაც გვაზავამ მოარგო „ცხუმის“ კარს გასაღები.

თამაში „ვიტ ჯორჯიამ“ ასეთი შემადგენლობით დაიწყო:

მერლანი, დ. დოლიძე, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, დეკანოსიძე, ყიფიანი, გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე.

შეცვლაზე შემოვიდნენ: *ი. ხაჭაპურიძე, ვ. ბოჩაშვილი, ზ. გვაზავა, ჭილაძე, თაყაძე, გოცირიძე, სულთანიშვილი, ინწკირველი.*

„ვიტ ჯორჯიამ“ გუშინ და გუშინწინ ბოლო ორი კონტრაქტიც გაფორმა და გუნდის [illegible]ომპლექტებაც ამით დაასრულა.

დღეიდან სრულუფლებიანი ვეტერინარია აწ უკვე ყოფილი თსუ-ელი გიორგი დეკანოსიძე. ახალგაზრდა, ნიჭიერ ნახევარმცველთან ვეტერინართა თავკაცობამ სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

ორი წლით დაუკავშირა თავისი ბედი საქართველოს ვიცე-ჩემპიონს კიდევ ერთმა გორელმა, მიხეილ თაყაძემ. მიშას აქამდე გორის „დილასა“ და მოლდოვურ „შერიფში“ მოუსინჯავს ძალები.

კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, თაყაძე უეფას ასის პირველ ეტაპზე ითამაშებს. მიზეზი სატრანსფერო ფურცელია, რომლის მიღება მოლდოვიდან გვიანდება.

ორშაბათიდან „ვიტ ჯორჯია“ შეკრებაზე გადავა და მეტოქეს დაელოდება.

გუშინ ვეტერინართა მეტოქე „ბეითარმაც“ ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა და ჰაიფას „მაკაბისთან“ 1:2 დამარცხდა. გოლი იერუსალიმელთაგან ნირ სივილიამ გაიტანა.

დათო დანელია

თსუ-მ კუროორტს მიაშურა

გუშინ თბილისურმა თსუ-მ წყალტუბოსკენ აიღო გეზი და დანიშნულების ადგილზე მშვიდობით ჩავიდა. თენგიზ კაციას შეგირდები, რომლებიც მასპინძლებმა თავდაცვის სამინისტროში დააბინავეს, იქ 14 აგვისტომდე დარჩებიან.

სტუდენტები „სამგურალის“ ბაზაზე ივარჯიშებენ და ორ საკონტროლო მატჩსაც ითამაშებენ. მეტოქეებად ადგილობრივი „სამგურალი“ და საქართველოს ჩემპიონი „ტორპედო“ შეუგულებიათ.

კაციას თქმით, პირობები ჩინებულია, რაც შეკრებას უფრო ნაყოფიერს გახდის.

მწვრთნელებმა 17 ფეხბურთელი იახლეს: მამარდაშვილი, გუგუნავა, ებრალიძე, კვიციანი, ე. ალ[illegible]ჯაშვილი, ა. ლობჟანიძე, ხარებავა, ერაძე, არეშიძე, მორჩილაძე, ახალაძე, სვანაძე, ა. ბოკერია, წუწუნავა, ადამია, გ. გოცირიძე და ჭედია. ბექა ნოზაძე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებშია გამოძახებული.

მამუკა კვანტალიანი

ვის დარჩება ფოლადი?

ეროვნული ჩემპიონატი ახლოვდება და ქართული გუნდებიც შეძლებისდაგვარად ემზადებიან. როგორც იქნა, ნავსი გატეხა „გორდამ“ და ორკვირიან შეკრებას გამოჰკრა ხელი. რუსთაველები 25 ივლისიდან მანავში ვარჯიშობენ, მანავიდან დაბრუნებულებს კი დიდი სიურპრიზი ელით, სამწუხაროდ, უსიამოვნო...

2 აგვისტოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს საბოლოო განაჩენი უნდა გამოეტანა სტადიონ „ფოლადის“ კუთვნილებასთან დაკავშირებით... როგორც იცით, „გორდას“ ამას წინათ შეძლებული სპონსორობის მსურველი ორგანიზაცია გამოუჩნდა ს.ს. „აზოტის“ სახით, მაგრამ „აზოტელები“ სტადიონთან დაკავშირებულმა პრობლემამ შეაყოვნა. „ფოლადს“ მეტალურგიული კომბინატის მევალე ორგანიზაციებმა ყადაღა დაადეს, სტადიონის სტატუსი კი გაურკვეველი რჩებოდა. შემდეგ რუსთავის მერმა ლაშა მინდელმა ქონების მართვის სამინისტროში მოიძია დოკუმენტი, რომლის თანახმადაც სტადიონი მეტალურგიული კომბინატის კუთვნილებას არ წარმოადგენდა. მინდელმა ამის გამო რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიმართა და 6 აპრილს სარჩელი აღძრა სტადიონ[illegible]ე ყადაღის მოხსნასთან დაკავშირებით. პროცესი ერთობ გაჭინაურდა, რადგან მოპასუხე მხარე არ ჩანდა. 2 აგვისტოს ბოლო ვადა იწურებოდა, თუკი ამჯერადაც არ გამოცხადდებოდნენ მოპასუხეები, სასამართლო მათ გარეშე მიიღებდა გადაწყვეტილებას. სამწუხაროდ, 2 აგვისტოს ექვსი მოპასუხე გამოცხადდა სასამართლოში, მაგრამ სხდომა არ ჩატარდა, რადგან მათ საოლქო სასამართლოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი წარმოადგინეს, რომლის საფუძველზეც სტადიონს ყადაღა კანონის სრული გათვალისწინებით ადევს. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება კი გასაჩივრებას არ ექვემდებარება, აქედან გამომდინარე, მოსამართლე ჯაბანაშვილმა პროცესი შეწყვიტა, რადგან ვიდრე დაყადაღებული ქონებიდან სტადიონის ამორიცხვა არ მოხდება, რუსთავის სასამართლო მერიის სარჩელს ვერ განიხილავს.

ასე რომ, „ფოლადის“ ბედი კვლავ გაურკვეველია.

კაატა კვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომიკითხეთ ხურცილავა და დამალევინეთ ქართული კონიაკი

სტანისლავ იარაბეკი

დასაწყისი პირველ გვერდზე

სტანისლავ იარაბეკთან საუბარი, ბუნებრივია, თბილისის „ლოკომოტივთან“ სამომავლო თამაშით დავიწყეთ.

— დარწმუნებული ვარ, ურთულესი მატჩი გველის. მეტოქეზე ბევრი არაფერი ვიცი — გვეუბნება „სლოვანის“ მწვრთნელი — თუმცა დღეს, ხომ იცით, სუსტი გუნდები აღარ არიან, ყველასთან შესაძლებლობების მაქსიმუმით თამაშია საჭირო. ბრატისლავაში გოლი არ უნდა გავუშვათ, თორემ თბილისში კიდევ უფრო გაგვიჭირდება. „ლოკომოტივს“ კარგი დაცვა ჰყავს.

— ეგ საიდან იცით?

— ორი თამაშის ფირი მაქვს. თუ სწორად ვამბობ, „ლოკომოტივი“ — „თბილისის“ და „ლოკომოტივი“ — „მერანის“ მატჩების.

— რაკი ასეა, უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით. მეტოქის თამაშის შემყურემ რა ჩაინიშნეთ?

— არ გეტყვით. ჩემთვის შევინახავ. ფეხბურთელებს მატჩის წინ ვეტყვი.

— „ლოკომოტივის“ დაცვა ახსენეთ...

— ჩემი აზრით, დაცვა ქართული გუნდის უძლიერესი რგოლია, თუმცა ნახევარდაცვასაც არა უშავს. ფიზიკურად ძლიერი გუნდი რომ არის, ეს თვალშისაცემია.

— თავდასხმა?

— მცველები უკეთ თამაშობდნენ.

— ზოგადად ქართულ ფეხბურთზე თუ იცით რამე?

— ერთი კითხვა მეც მაქვს.

— ბრძანეთ.

— „ლოკომოტივის“ მწვრთნელი ხურცილავაა?

— არა, ძოძუაშვილი.

— ხურცილავა სად არის? ის ჩემი მეგობარია. 1968 წლის მექსიკის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ეტაპზე ჩვენ მეტოქეები ვიყავით. ის საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდა, მე — ჩეხოსლოვაკიის. რამდენჯერმე დავუპირისპირდით ერთმანეთს, ყველა მატჩის შემდეგ კი საკმაოდ თბილი შეხვედრა გვქონდა. ძალიან დავახლოვდით. ხურცილავა თბილისში ცხოვრობს?

— დიახ.

— მომიკითხეთ.

— კეთილი. „სლოვანი“ — „ლოკომოტივის“ მატჩის თქვენეულ პროგნოზს გვეტყვით?

— შანსები თანაბარია. უპირატესობა არც ერთს აქვს. არა მგონია, „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა „სლოვანზე“.იმაზე მეტი იცოდეს, ვიდრე მე — „ლოკომოტივზე“.

— „სლოვანის“ შარშანდელ ჩავარდნას რით ახსნით? ვერც ჩემპიონი გახდით, ვერც თასი მოიპოვეთ.

— ჩემპიონატის დასრულებამდე შვიდი ტური იყო დარჩენილი, როცა გუნდის მწვრთნელად დავინიშნე. ჩემს ხელში „სლოვანს“ თამაში არ წაუგია, სხვის ნაცვლად კი ვერ გიპასუხებთ. გუნდში ყველაფერი აწყობილი არ იყო.

— როგორ ფიქრობთ, 30 მატჩში 52 გოლი ბევრია თუ ცოტა?

— ნორმალური, კარგი მაჩვენებელია. ჩემი მწვრთნელობით გუნდმა 20 ბურთი გაიტანა.

— ამდენივე თამაშში 18 გაშვებული?

— არც ეგაა ცუდი.

— „ლოკომოტივთან“ სათამაშოდ უძლიერესებს მოუყრით თავს?

— საბედნიეროდ, დისკვალიფიცირებულ-ტრავმირებული არავინ გვყავს.

— გუნდის ლიდერი ვინ არის?

— სამნი არიან სხვებზე გამორჩეულნი, სამივე სლოვაკეთის ნაკრების წევრია. სტოპერი მილან ტიმკო, ნახევარმცველი ნორბერტ ჰრნჩარი და თავდამსხმელი ტიბორ იანკულა. ესენი ეროვნულ გუნდში თამაშობენ, კიდევ ორი ფეხბურთელი ახალგაზრდულ ნაკრებშია.

— მცველი სტანისლავ ვარგა „სანდერლენდში“ რატომ გაუშვით?

— რატომ? ფული არ გვქონდა და იმიტომ.

— მისი წასვლა გუნდის თამაშს არ დაეტყობა?

— არა მგონია. თავადაც ჰქონდა ინგლისში გადასვლის სურვილი და არც ჩვენ შევუშალეთ ხელი. ის 28 წლისაა.

— ფული არ გვქონდაო, თქვით, გიჭირთ ფინანსურად?

— ახლა უკვე არა. ყველაფერი კარგადაა. გასულ შემოდგომაზე „სლოვანს“ ძალიან უჭირდა, თუმცა გაზაფხულიდან საქმე გამოსწორდა.

— ბევრი ლეგიონერი გყავთ?

— ერთი, ჩეხი მეკარე ტომაშ ბერანდი. ადრე უკრაინელი ბორისენკო თამაშობდა ჩვენთან, თუმცა შუა სეზონში სამშობლოში დაბრუნდა.

— „სლოვანი“ 70-80-იან წლებში ერთობ ძლიერი გუნდი იყო, ევროპაში დაფასებული. დღეს... რისი ბრალია?

— იცით, ადრე კარგი თაობა იყო. ნიჭიერი ახალგაზრდებით სავსე გახლდათ ჩეხოსლოვაკია. ახლა ჩეხოსლოვაკია გაიყო, ცხოვრება შეიცვალა, თუმცა ნელ-ნელა, იმედი მაქვს, ყველაფერი უკეთესად იქნე[illegible]

— გმადლობთ.

— ქართულ კონიაკს ჩამოიტანთ?

— კონიაკს?

— საქართველოში კარგი კონიაკია, გამისინჯავს.

— ყოფილხართ საქართველოში?

— არა, ბრატისლავაში დამილევია ქართული კონიაკი და ძალიან მომეწონა.

— ახლა ხომ მოგიწევთ ჩამოსვლა?

— იმედია, ხურცილავასაც ვნახავ.

** კობა ინასარიძე**

დუღაან კოუტნი საგანგებოდ საბჭოელისთვის

საზაფხულო მიდი-მოდი

	გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (მილანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი)	გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	დილა 4:0, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (თსუ), ჭიღლაძე (ს.ა. იბერია)	თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, ჰანზა 0:1, ლიუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენჰაფენი (რვავე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1
დინამო *რევაზ არყელაძე*	ბიბანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (მაკაბი, თა., ისრაელ), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), ხუციშვილი, მინაშვილი (?)	კ. გოგოლაძე (სიონი), ხუციძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბათიაშვილი, ტყებუჩავა, ჩიკვაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჟანიძე (არ თამაშობდა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, ლოკომოტივი 1:0, შუტურა 2:0, ქიაფაზი (განჯა, აზერბაიჯანი) ?:?
ბათუმი *ჯანი კარნევალი*	მ. მახარაძე (კარიერა დასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მეავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩობელი (გორდა), გაბისონია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ე. გვასალია (?, ისრაელი)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედ[illegible]ი, დ. კვირკველია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეფავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, გურია 3:0, ბათუმი 1:2
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაერაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 3:1
იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო ზილი, რუსეთი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (ლოკომოტივი)		სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი) 1:2, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2
დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4
მერანი *სერგო გაბელაია*	ჯიშკარიანი (კარიერა დასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი)	ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი), გ. კილასონია, ვ. კილასონია (გორდა)	ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), ჩიბრაძე (ჰ.ბეით შანი, ისრაელი), კაციაშვილი (მეტალურგი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაერაძე (სიონი), ძოძუამვილი (ერზურუმსფორი, თურქეთი), ჭიჭვეიშვილი (ჰ.ქვარ სავა, ისრაელი), ჩხაიძე (ტორპედო), გ. გვაზავა, დ. გოდერძიშვილი, რ. ონიანი (?)	გონჩაროვი, ზ. გაგნიძე (თბილისი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ხობი), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი)	გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, დინამო 0:1, სიონი 1:0, 3:1
თსუ *თენგიზ კაციაა*	მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ხართიშვილი (?)	მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ბუკია (გორდა), ჭედია (ლაზიკა)	ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2
გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (მერანი), ბურნაძე (ლოკომოტივი), ბუკია (თსუ), ბედიაშვილი, ჩობელი (ბათუმი)	ჭიაბრიშვილი (ზოოვეტი)	ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

დაბრუნება წარსულის და რუსეთიდან ასულის

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ საქართველოს ვიცე-ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ ევროპული დებიუტი აქვს. ვიტელები უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ებრაულ იერუსალიმის „ბეითარს“ მასპინძლობენ.

„ბეითარი“ ისრაელის უძველესი და უპოპულარულესი გუნდია. 1939 წელს დაარსებული იერუსალიმის კლუბი 4-ჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი და 5-ჯერ თასის მფლობელი. ბოლოს „ბეითარი“ 1998 წელს ზედიზედ მეორედ გაჩემპიონდა. მაშინ გიორგი დარასელიას თელ ავივურ „ჰაპოელს“ მთელი წელი კუდში სდიეს, ფინიშამდე ხუთი ტურით ადრე უშუალო ბრძოლის მოგებით გადაასწრო, მომდევნო მატჩში ფრით ქულამდე დაიახლოვა და მერე ეს უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვა.

თელ ავიველებს იმედი ჰქონდათ, ბოლო ტურში „ბეითარს“ გასავარდნად განწირული ბეით შანის „ჰაპოელი“ გაამწარებსო, მაგრამ ამაოი შეხვედრა ფრედ რომ მთავრდებოდა, მსაჯის წამატებულ დროში 3:2, იერუსალიმელთა მოგებით დასრულდა.

დიდი ხმაური შეიქნა, მატჩი ჩაწყობილი იყოო. გამოძიებაც დაინიშნა, რომელმაც, ცხადია, საეჭვო ვერაფერი იპოვა და გიორგი დარასელია და კომპანია ვერცხლის მედლებს დასჯერდა, „ბეითარმა“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში ითამაშა და პორტუგალიურ „პენფიკასთან“ 0:6, 4:2 წაგებით გავარდა, ბეითშანელებმა კი ებრაულ ლიგაში მაინც შეინარჩუნეს ადგილი.

„ბეითარი“ ისრაელის მემარჯვენე პოლიტიკოსთა გუნდია. იერუსალიმელებს თვით ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ქომაგობს და აბა, კლუბს ვის დაჩაგვრინებდა.

1992 წელს იერუსალიმის გარეუბან მალხაში გახსნილ სტადიონს საქრისტიანოს დედაქალაქის ყოფილი მერის, ტედი კოლეკის სახელი ჰქვია. ძნელი მისახვედრი არაა, რომ მერიც „ბეითარის“ ქომაგი ყოფილა და 21-ათასიანი „ტედი“ სწორედ მისი თაოსნობით აგებულა.

„ტედი“, რომელიც ოდნავ აღემატება ტევადობით ჰაიფას „კირიათ ელიეზერსა“ (18 000) და თელავივურ „ბლუმფილდს“. ისრაელში მეორეა და მხოლოდ დედაქალაქურ „რამათ განს“, ეროვნული ნაკრების 46-ათასიან სარბიელს ჩამორჩება.

ბოლოხანს „ბეითარის“ გენერალური სპონსორი მობილური ტელეფონების კომპანია „სელკომი“ და საავტომობილო კომპანია „სუბარუ“. რამდენიმე თვის წინ კი კლუბის მეოხთა სათავეში ახალი მეპატრონე, ისრაელის უმდიდრესი ბიზნესმენი გად ზეევი მოექცა. ზეევი ქვეყნის რამდენიმე მსხვილი კომპანიისა და სავაჭრო ცენტრის მფლობელია. წლეულს საკუთარ სამფლობელოს ახალი შენაძენი საფეხბურთო კლუბი „ბეითარი“ შემატა. კლუბს საგაისო ბიუჯეტად ათნახევარი მილიონი დოლარი დაუდგინა, მიზნად კი ქვეყნის ჩემპიონობა დაუსახა.

ცხადია, მილიონერი მილიონებს ქარს არ გაატანს, „ბეითარის“ სალაროში შეტანილი ყოველი შეკელი უკან ორმაგად დაუბრუნდება, რადგან არავის ჰყავს აღთქმულ მიწაზე იმდენი ქომაგი, რამდენიც შავ-ყვითლებს (კლუბის სასტუმრო ფერები თეთრ-ლურჯია).

წარსული დიდების დასაბრუნებლად გად ზეევმ თასის ფინალისტ „ბეითარს“ მწვრთნელიც გამოუცვალა.

კლუბის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე ელი ოჰანა, რომელიც შარშან წვრთნიდა გუნდს და ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაამთავრებინა, ამ ზაფხულს გაათავისუფლეს. ოჰანას შემცვლელად „ბეითარში“ ისრაელის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ელი გუტმანი მივიდა.

გუტმანი ბოლოს ჰაიფას „ჰაპოელს“ წვრთნიდა და შარშანწინ ეს გუნდი კიდეც გააჩემპიონა.

ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ელი გუტმანი (მარცხნივ) პირველი „ბეითარული“ პრესკონფერენციისას

სხვათა შორის, გუტმანის ხელში ერთ ქართველ ფეხბურთელსაც უთამაშნია. სწორედ საჩემპიონო წელს ჰაიფას ლევან ხომერიკი ჩავიდა, მაგრამ ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა — ოდენ სამჯერ ითამაშა შემცვლელად და შინ მალევე გამობრუნდა. ეს არც იქნება გასაკვირი თუ ვიტყვით, რომ ჰაიფელთა ჩემპიონობას გატანით ერთბაშად 13 ფეხბურთელი შეეშველა. მათგან კი რვამ 4 და მეტი გოლის გატანა შეძლო.

ჰაიფას „ჰაპოელზე“ ესოდენ ყურადღების მიპყრობა შემთხვევითი როდია. გუტმანმა იერუსალიმში „ჰაპოელის“ ორი ლიდერი და საკუთარი თანაშემწეც გაიყოლა. სხვათაშორის, გუტმანის დამხმარე ფელიქს ნაიმი უკვე თბილისში იმყოფება „ვიტ ჯორჯიას“ უკეთ შესასწავლად და „ბეითარისთვის“ სასტუმროს დასაჯავშნად. მასთან საუბარს ერთ-ერთ უახლოეს „სარბიელში“ შემოგთავაზებთ. ახლა კი „ბეითარის“ ფეხბურთელებზე ვთქვათ.

იციკ კორენფაინი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მეკარეცაა და 29 მარტს რიჩარდ მიოლერ ნილსენმა ის მეორე ტაიმში ათამაშა ქართველთა წინააღმდეგ. ასე რომ, კორენფაინი ქართველთაგან ჯერ მშრალია, გიორგი ქინქლაძემ ხომ ის ჩინებული გოლი მატჩის პირველ ნახევარში რაფი კოენს გაუტანა.

ოჰად კოენი „ბეითარში“ წლეულს მეორე ლიგის ერთ-ერთი კლუბიდან მივიდა და საეჭვოა, მას ჯერ კარის დაცვა ანდონ.

ფელიქს ჰალფონი „ბეითარმა“ თელ ავივის „მაკაბიდან“ გადაიბირა. მცველის პროფილი მარჯვენა ფრთაზე ნავარდი, ჰობი კი ტანისამოსის უთოობაა.

სერგეი ტრეტიაკი უკრაინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელია. 37 წლის ცენტრალური მცველი ელი გუტმანის კიდევ ერთი თანაშემწეა. ტრეტიაკს, რომელიც „ბეითარში“ 1992 წელს ოდესის „ჩორნომორეცი“ დან“ გადავიდა, მეტსახელად ტიკ ტაკს ეძახიან.

შმულ ლევი კლუბის ერთ-ერთი დირექტორის, აბრაამ ლევის ვაჟია. „შმულიკი“ კლუბთან ერთად 1998 წელს ჩემპიონიც გამხდარა.

ისრაელ კოენი წლევანდელ ჩემპიონ თელ ავივის „ჰაპოელიდან“ შეიმატა გუტმანმა.

ბრანკო სავიჩი სერბია, ბოლო ხანს ბელგრადის „პარტიზანში“ ირიცხებოდა, ბათუმში, 0:1 წაგებულ მატჩშიც უთამაშია და რაკი წლეულს „ბეითართან“ გაფორმა კონტრაქტი, საქართველოში ჩამოსვლაც მეორედ უწევს.

მილან, იგივე *„მიტკო“ სტოიანოსკი* შარშანდლიდან მაკედონიის ნაკრების კაპიტანია და სავიჩის მსგავსად, მასაც ბათუმურ მატჩში აქვს ნათამაშევი. სტოიანოსკიში „ბეითარმა“ 450 ათასი დოლარი გადაუხადა „პარტიზანს“. მაკედონიელი ებრაელთა მეორე უძვირფასესი შენაძენია.

დავიდ ამსალემი „ბეითარისა“ და ისრაელის ეროვნული ნაკრების მარცხენა მცველია. ორი წლის წინ ამსალემი ინგლისური პრემიერლიგიდან ახალგავარდნილ „კრისტალ პალასში“ თამაშობდა, მაგრამ შარშან კვლავ შინ დაბრუნება არჩია.

ჟან ტელასნიკოვი ისრაელში 4 წლის ასაკში ასული რუსი ებრაელია. ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი შარშან შოტლანდიურ „დანდი იუნაიტედში“ თამაშობდა, მაგრამ გუტმანის მოთხოვნით 400 ათას დოლარად უკანვე დაიბრუნა კლუბმა.

იოსი აბუკისი „ბეითარის“ და მთლიანად ებრაული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია, მაგრამ საეჭვოა ვიტელებთან უკაპიტნოს თანაგუნდელებს. აბუკისს იშვიათი საფეხბურთო ტრავმა — დაშავებული მუცლის კუნთი, ექიმთა ვარაუდით, ქართველებთან მატჩებს გამოატოვებინებს.

ᲑᲔᲘᲗᲐᲠᲘ 2000-2001				
1	იცხაკ	კორენფაინი	მკ	24.09.71
22	ოჰად	კოენი	მკ	10.06.75
2	შმულიკ	ლევი	მ	09.06.72
3	დავიდ	ამსალემი	მ	04.09.71
5	სერგეი	ტრეტიაკი	მ	07.09.63
6	ისრაელ	კოენი	მ	16.12.71
9	ფელიქს	ჰალფონი	მ	07.04.72
12	კობი	განონი	მ	17.05.76
17	ბრანკო	სავიჩი	მ	08.08.72
20	მილან	სტოიანოვსკი	მ	16.09.73
23	დენი	ჰოდადი	მ	04.08.77
4	ჟან	ტელესნიკოვი	ნ	11.12.72
7	ჯოვანი	როსო	ნ	17.11.72
8	იოსი	აბუკსისი	ნ	10.09.70
13	რაანან	დერი	ნ	12.07.76
14	იშტვან	ჰამარი	ნ	06.10.70
19	ტამაშ	შანდორი	ნ	20.06.72
21	ნირ	ვაიჰმანი	ნ	24.09.75
25	ეითან	მიზრახი	ნ	22.01.72
10	ნირ	სივილია	თ	26.05.75
11	ალონ	მიზრახი	თ	22.11.71
16	ელად	იაკობი	თ	04.02.81
18	იანივ	აბარჯილი	თ	16.08.77

იშტვან ჰამარი „ბეითარში“ ნახევარმცველად (ორივე ფრთაზე) საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელ უნგრეთის ეროვნულ გუნდში კი თავდამსხმელად თამაშობს.

ჰამარის მხარდამხარ შარშან თანამემამულენი, იშტვან სალოი და *ტამაშ შანდორიც* თამაშობდნენ, მაგრამ გუტმანმა მხოლოდ ჰამარი და შანდორი დაიტოვა.

ჯოვანი როსო ხორვატი გამთამაშებელი, ისრაელის საუკეთესო ლეგიონერია. როსო „ბეითარში“ წლეულს ჰაიფას „ჰაპოელიდან“ მილიონ დოლარად გადავიდა. როგორც მიხვდით, ის შარშანაც გუტმანის დამოძღვრილი გახლდათ და მწვრთნელის ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია.

რაანან დერი საყრდენია. ის კლუბის ახალგაზრდული გუნდის აღზრდილია.

ნირ სივილია და *ალონ მიზრახი* ეროვნული ნაკრების გამორჩეული ფეხბურთელები არიან. ორივენი მეგოლეობის ნიჭით არიან დაჯილდოებულნი და მიზრახის მაღალი შედეგიანობის გამო „თვითმფრინავიც“ კი შეარქვეს.

იანივ აბარჯილი ებრაული ფხბურთის ერთ-ერთი ახალგაზრდა ტალანტია, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ჯერაც დასამკვიდრებელი აქვს.

ფეხბურთელთა გაცნობით იოლი მისახვედრია, რატომაა „ბეითარი“ ბევრისთვის საყვარელი გუნდი, აი, გაუგებარი და პასუხმოლოდინე შავ-ყვითელთა ჩემპიონობის საკითხია.

ცხადია, იერუსალიმელები „ვიტ ჯორჯიას“ გავლას და უეფას თასზე რაც შეიძლება შორს გაღწევასაც იმედოვნებენ. ვნახოთ, ვისი აჯობებს — ათმილიონიან „ბეითარისა“ თუ მასზე, სულ მცირე, ათჯერ ღარიბი „ვიტ ჯორჯიასი“.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲖᲘᲫᲐᲫᲔ

ᲑᲔᲘᲗᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ

კორენფაინი
სტოიანოსკი
ამსალემი ჰალფონი (ლევი)
კოენი (სავიჩი)
ჰამარი ტელასნიკოვი შანდორი
როსო
სივილია მიზრახი

ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

იოსი აბუკსისი

ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ალონ მიზრახი

ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ჯოვანი როსო

მდიდრები ინგლისშიც ტირიან

THE SUN

რობი ფაულერი მეკარეს შეეჯახა და ორიოდ წუთში ტრავმირებული მოედნიდან გაიტანეს

ინგლისი

თვეში 12 ლარი, ანუ კვირაში 4 ლარი, ანუ კვირაში ერთი გირვანქა. რას იზავ, რუსთაველი მკვდარია, პიტერ კინინონი კი აქედან ძალიან შორს იმყოფება და ჩვილს აზრი არა აქვს.

თან არც დაიჯერებს ეგ კაცი, ახლახან „მანჩესტერ იუნაიტედი“ რომ ჩაიბარა, რომ სადმე მსგავსი „ანაზღაურება“ არსებობს. 25 ათასი გირვანქა აქვს კვირაში მის ერთ-ერთ მთამაშეს და კინონს გული უწუხს, ბიჭს პირობები უნდა გავუუმჯობესოთო. ამიტომაც მომავალ თვეში დევიდ ბექემთან შეხვედრას და ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტის შეთავსებას აპირებს.

არადა, მსოფლიოს საუკეთესო ჩამწოდებელსა და მსოფლიოს უმდიდრეს კლუბს შორის დადებულ ძველ ხელშეკრულებას ვადა 2003 წელს გასდის. „იუნაიტედის“ ყოფილი შეფი მარტინ ედუარდსი არც აპირებდა მის გადახედვას, მაგრამ ერთი-ორი ზარი „მილანიდან“ და კინინონ მიხვდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. კარგით ბატონო, როი კინი კაპიტანია და კვირაში 52 ათას გირვანქას იღებს, მაგრამ აწ უკვე განათხოვრებულ ავსტრალიელ მეკარე მარკ ბოსნიჩსაც რომ ბექემზე დიდი ხელფასი აქვს?

60 ათასი კვირაში და პლუს 20 ათასი, სულ 80 ათასი კვირაში — ასეთი იქნება ბექემის ახალი გასამრჯელო, თუ კინიონმა თავისი გაიტანა და ნახევარმცველს ახალ კონტრაქტზე ხელი მოაწერინა. 60 ათასი ნაღდია, ის „პლუს 20 ათასი“ კი მიახლოებითაა ნათქვამი — რაც რომ „იუნაიტედი“ ქებემის გვარით დამშვენებულ პროდუქციას ჰყიდის, იმის წილია.

თითქმის ამდენივეს, კვირაში 75 ათასს მოითხოვს ინგლისური ფეხბურთის კიდევ ერთი ვარსკვლავი მაიკლ ოუენი, თუ „ლივერპულმა“ კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა. მასაც კიდევ 3 წელი აკავშირებს კლუბთან და თან ამბობს — სამი კი არა, ოცდასამიც დავრჩებიო: „ვამაყობ ჩემი კლუბით და სადმე წასვლის სურვილი არც აქამდე მქონია და არც ახლა მაქვს. როცა გაზეთებში წავიკითხე, რომ „რეალს“ ჩემი ყიდვა სურს, უბრალოდ მესიამოვნა, თორემ „ლივერპულის“ დატოვება არც მიფიქრია“. ეს ასეა, მაგრამ ჟერარ ულიესა და კლუბის თავკაცებს ესმით, რომ ყველაფერს საზღვარი აქვს და თუ გუნდში ვარსკვლავთათვის მისაღები კლიმატი არ შეიქმნა, არაფერი გამოვა. ამჟამად 20 წლის ოუენს უფრო ნაკლები ხელფასი აქვს, ვიდრე ნიკ ბარმბის, დიტმარ ჰამანს, რობი ფაულერსა და ტიტი კამარასაც კი. კრისტიან ციგეს 45 ათასს ჰპირდებიან. ასე რომ, სასწრაფოდ ახალი კონტრაქტია გასაფორმებელი, თორემ ერთ მშვენიერ დღეს ოუენიც ადგება და სტივ მაკმანამანის გზას დაადგება.

თუმცა მერისაიდელთა ფრანგი მწვრთნელის, ჟერარ ულიეს მთავარი საწუხარი დღესდღეობით გუნდის ახალი კაპიტნის, რობი ფაულერის ტრავმაა. ხუთშაბათს ჩრდილოირლანდიურ „გლენტორანთან“ ამხანაგურ მატჩში ლივერპულელი ფორვარდი მასპინძელთა მეკარეს შეეტაკა და 31-ე წუთზე მოედანი დასტოვა, ერთ საათში კი უკვე მშობლიური ქალაქის ერთ-ერთ ჰოსპიტალში იყო. „დასანანია, მეტად დასანანი. ჯერ არც ვიცით, რამდენად სერიოზულია ტრავმა — სამი დღით ჩამოგვაშორებს რობის თუ სამი თვით, უცნობია. არადა, სეზონისწინა შეკრებაზე შვეიცარიაში მან რაღაც არაადამიანური მონდომებით ივარჯიშა და თითქოს დაკარგული სამიზნეც აღიდგინა. აღარც შარშან ორჯერ ნაოპერაციები კოჭი აწუხებდა“ — ჩიოდა ულიე. სწორედ ფაულერმა გახსნა ამ შეხვედრაში ანგარიში, მერე ბურთი ძელსაც გაარტყა, მაგრამ... დანარჩენი სამი გოლი ბერგერის, შმიცერისა და მარფის ზუსტი დარტყმებით გავიდა — 0:4. ოუენი მხოლოდ 70-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე და როგორც გაირკვა, „გლენტორანის“ ფანობა ძირითადად სწორედ მის სანახავად იყო შეკრებილი.

მორიგ საწვრთნელ თამაშს „ლივერპული“ დღეს ბელფასტშივე პორტუგალიურ „ბენფიკასთან“ გამართავს. ფაულერის არყოფნაში გუნდს ფინელი მცველი სემი ჰიიპია უკაპიტნებს.

მსგავსი პრობლემა, ანუ კაპიტნის არყოფნა, აწუხებს „ნიუკასლსაც“, სადაც დიდი ღელვაა ალან შირერის დაზიანებული მუხლის გამო. როგორც გამოკვლევამ აჩვენა, მისი მდგომარეობა უარესია, ვიდრე ევრო 2000-ზე იყო. „სამი კვირა კი დავისვენე, მაგრამ მუხლს ამან არაფერი უშველა. არადა, სანამ პრემიერლიგა დაიწყება, ერთი სრული მატჩი ხომ მაინც უნდა ვითამაშო, ფორმაში რომ ჩავდგე. 20 აგვისტოს „მანჩესტერ იუნაიტედს“ ვეთამაშებით და პირდაპირ იმ საგიჟეთში მოუმზადებლად შევარდნა არ ივარგებს“ — აცხადებს ნაკრების ყოფილი კაპიტანი — „ისე, ეროვნულ გუნდს რომ თავი ვანებე, იმითაა კარგი, რომ დასასვენებლად, ტრავმების მოსაშუშებლად და გოლფის სათამაშოდ რაღაც დრო მეჭნება. აღრე ამას მოკლებული ვიყავი“. დღეს „ნიუკასლი“ როტერდამის „ფეიენოორდს“ შეხვდება, მომავალ კვირაში კი თავს „ესპანიოლთან“ გამოკდის.

ეს ორივე, ცხადია, ამხანაგური მატჩი იქნება. ასეთივე იყო „მიდლსბროსა“ და „ტრანმერის“ შეხვედრა, რომელიც ქვედალიგელების 2:0 გამარჯვებით დამთავრდა. მატჩს 16 ათასამდე კაცი დაესწრო, თუმცა ერთადერთი, ვინც არაამხანაგურად მოიქცა, პოო გესქოინი იყო. ისევე როგორც ახალ კლუბში დებიუტისას შოტლანდიურ „დანდი იუნაიტედთან“, გაზა აქაც შეცვალეს და ისევ ძიძგილაობის გამო — ამჯერად მასპინძელი შონ ფლინი აითვალწუნა, მანამდე კი ერთი-ორჯერ თავი ისე წაჰკრა მოწინააღმდეგეებს, თავად გადასახვევი შეიქნა. თუ ასე გაგრძელდა, „ევერტონს“ ყოველ პრემიერლიგურ მატჩში ორი საჭირო შეცვლის უფლება დარჩება — მესამე, თუ არ გაამეკვეს, გესქოინის მოედნიდან დროზე გარიდებას მოხმარდება.

ბელგიაში მყოფმა „დერბი ქაუნთიმ“ 2:2 ითამაშა იქაურ „სენტ ტრუიდენთან“.

გიგა ძოგბახიძე

ფეხბურთის რუკასთან

ირლანდიელმა ნაილ ქუინმა „სანდერლენდთან“ კონტრაქტი სამი წლით გაახგრძლივა. 33 წლის ქუინი კლუბის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა. მან წინა სეზონში 14 გოლი გაიტანა. „სანდერლენდში“ ფეხბურთელი 1996 წელს „მანჩესტერ სიტიდან“ გადავიდა და მაშინ იგი კლუბის ყველაზე ძვირადღირებული ახალწვეული გახლდათ — „სანდერლენდმა“ „სიტის“ ორი მილიონი დოლარი გადაუხადა. „გუნდში თამაში მსიამოვნებს, ამიტომ კონტრაქტის გაგრძელებაზე უყოყმანოდ დავთანხმდი“ — განაცხადა ქუინმა.

ფრანგმა მოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ლორან ბლანმა სანაკრებო კარიერის დასრულება ევრო 2000-ის შემდეგ გადაწყვიტა. ეროვნული გუნდის მაისურას იგი უკანასკნელად ოცდაერ დღეში მოირგებს, როცა საფრანგეთის ნაკრები დანარჩენი მსოფლიოს ვარსკვლავებს ამხანაგურ მატჩში დაუპირისპირდება. ამ დღეს ბლანი ნაკრების ღირსებას 96-ედ დაიცავს. ამხანაგური შეხვედრა კი „ველოდრომზე“ 16 აგვისტოს გაიმართება.

ესპანურმა „სელტამ“ ეკვადორელი ფორვარდი ხავიე ივან კავიედესი მომავალი ერთი სეზონით „ვალიადოლიდში“ გაანათხოვრა, სანაცვლოდ კი 275 ათასი დოლარი მიიღო. ფეხბურთელი ახალი კლუბის ხელმძღვანელებს უახლოეს დღეებში შეხვდება და მალე „ვალიადოლიდის“ გულშემატკივრების წინაშეც წარდგება.

ავსტრალიელი ფორვარდი ჰარი კიუელი მალე სამედიცინო შემოწმებას გაივლის იმის დასადგენად, შეძლებს თუ არა თამაშის განახლებას. „ლიდსის“ თავდამსხმელს ტრავმა აწუხებს. თავად კიუელი იმედოვნებს, რომ ყველაფერი მოგვარდება და სიდნეის ოლიმპიადაზე ასპარეზობას მოახერხებს, თუმცა ბრიტანული პრესა იუწყება, რომ ავსტრალიელს შესაძლოა ქირურგიული ჩარევა დასჭირდეს. ექიმთა დასკვნა მომავალ კვირაში გამოცხადდება.

ინგლისური „ტოტენჰემის“ ფანთა ჯგუფი განაწყენებულია და აცხადებს, აღრე რომ გვცოდნოდა, კლუბი ჟინოლას გაყიდდა, სეზონურ აბონიმენტებს არ შევიძენდითო. შეგახსენებთ, რომ ფრანგი ნახევარმცველი ლონდონურმა კლუბმა „ასტონ ვილას“ 4,5 მილიონ დოლარად მიჰყიდა. „ყველა ქომაგს, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამს, შეუძლია, სეზონური ბილეთები 15 აგვისტომდე უკან დააბრუნოს და თანხა აინაზღაუროს. კლუბს არ სურს, რომ მისი გულშემატკივრები თავს მოტყუებულად გრძნობდნენ“ — იუწყება „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობა.

გერმანიის ნაკრების თავკაცმა რუდი ფიოლერმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში გუნდში თომას ჰესლერის დაბრუნებას არ აპირებს. „თუ თომასი დაგჭირდება, მას გამოვიძახებთ, მაგრამ ჯობია, მან ჯერ კლუბზე გაამახვილოს ყურადღება. ჯერჯერობით მას არ მოვიწვევ“ — თქვა ფიოლერმა. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ჰესლერმა კი, რომელიც ახლა „მიუნხენ 1860“-ში ირიცხება, ამას წინათ ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა. ბუნდესნაკრებიდან წასვლა დროებით (2002 წლამდე) მარკუს ბაბელსაც განუზრახავს. მას სურს, მეტი დრო დაუთმოს თავის ახალ კლუბ „ლივერპულს“. ფიოლერის თქმით, მას ამის შესახებ მხოლოდ სმენია და მცველს უეჭველად გაეგებრება.

მე და დიეგო

ევრო 2000-ზე შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ პორტუგალიელი სერჟიო კონსეისაუ ბედის მოულოდნელმა ტრიალმა „ლაციოდან“ „პარმაში“ გადატყორცნა — იგი და მატიას ალმეიდა არგენტინელ ერნან კრესპოში გაცვალეს და ზედ გვარიანი თანხაც დამატეს. შემცბარი და შეურაცხყოფილი კონსეისაუ თავიდან უკმაყოფილო გახლდათ, მაგრამ თანდათან ბედს შეეგუა და ახალ გუნდს შეუერთდა.

სერჟიუ კონსეისაუმ ევრო 2000-ზე გერმანელებს სამი გოლი გაუტანა

— „პარმაში“ ჩამოსვლით კმაყოფილი ხართ?

— ცხადია. ამბიციურ კლუბებში მოვხვდი, ხოლო დიდ პროექტში მონაწილეობა ძალიან საამაყოა. აქ უმაღლესი მწვრვალების დაპყრობას ვაპირებ და შეძლებისდაგვარად მალე მსურს გარემოსთვის აღღოს აღება.

— „ლაციოდან“ წამოსვლა იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვეღარ ითამაშებთ. ძალიან გწყდებათ გული?

— რაც მოხდა მოხდა, ძველ თემასთან დაბრუნება აღარ ღირს. ამიერიდან „პარმას“ მოთამაშე ვარ, ხოლო „პარმას“ ბევრ ფრონტზე სურს წარმატება. ცხადია, ასეთ მიზნებზე უარს არც მე ვიტყვი.

— ახალ გუნდთან შეგუებაში „ლაციოდან“ მატიას ალმეიდასთან ერთად გადმოსვლა ძალიან გეხმარებათ?

— თავიდან დაწყება იოლი საქმე არ არის, ხოლო ასეთ დროს მხარში მდგომის ყოლა მნიშვნელოვანია. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ „პარმამ“ ბევრი ახალი ფეხბურთელი იყიდა და ყველასთვის უმჯობესი იქნება, თუ ძველი და ახალი ხალხი ერთმანეთს უმოკლეს დროში შეეგუება.

— თქვენ ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე ადგილის მოპოვებისთვის დიეგო ფუზერთან მოგიწევთ კონკურენცია...

— როგორც ჩანს, ჩემი და დიეგოს კარიერა ბედმა დააკავშირა. მე რომ „ლაციოში“ მივედი, ის მაშინ წავიდა, დღეს კი ისევ ერთად შევიყარეთ. ჩვენ ერთი და იმავე ამპლუის ფეხბურთელები ვართ, მაგრამ მთლად ეგრეც არ არის საქმე. თუ გახსოვთ პორტუგალიის ნაკრებში მე მარცხენა ფრთაზე ვთამაშობდი, დიეგო კი მოედნის შუაშიც ძლიერია. თუმცა, ჯობს მწვრთნელის ფუნქციებში ავიჩაგრიო. მთავარია, გუნდმა მოიგოს, ხოლო ამ საქმეში წვლილს ფუზერი შეიტანს თუ კონსეისაუ, იმდენად მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს.

— რომიდან პარმაში გადასახლება გარემოს დიდ ცვლილებებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

— მე უკვე ველაპარაკე ყოფილ პარმელ ფერნანდო კოუტუს და მან მითხრა, რომ პარმა მშვიდი ცხოვრების მოყვარულთათვის საუცხოო ადგილია. მეც შეძლებია მყუდრო გარემოში ცხოვრება.

— პარმელებზეც გითხრათ რამე?

— მეგობრული, ადვილად შესაგუებელი ხალხიაო.

— და „პარმა“ არის „ლაციოს“ და სხვა წამყვან გუნდთა მარაქის წევრი?

— ცხადია. ის არავისზე ნაკლებია

— ახლა ევრო 2000 გავიხსენოთ, სადაც თქვენ გერმანელებთან შეხვედრაში ჰეთ-ტრიკი შეასრულეთ. „ლაციოს“ შემადგენლობაშიც ბლომად გაგაქონდათ. რამდენ გოლს დაპირდებით „პარმას“ ქომაგებს?

— თავდამსხმელი ხომ არა ვარ, გოლებზე ფიცი რომ დავდო. ერთს ვიტყვი, არც ამ საქმეში დავიხევ უკან.

თარგმნა პაპუნა კეჟერიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანის

სვეტი

ზიდანის გადაყვანა

ფეხბურთელთა დიდი გადასახლება ევროპის ქალაქებში გრძელდება. თითქოს ყველაფერი მოთავდა, გაიცვალ-გამოიცვალა და გაიყიდ-გადაიყიდა. „რეალი“, ბოდიში და, ფერნანდო რედონდოსაც კი შეელია, თავის გმირს. „ბარსამ“ ხავიერ სავიოლა მოძებნა ბუენოს აირესში და თავისკენ ეწევა, „ინტერმა“ პატარა ირლანდიელი ბიჭი გადმოქაჩა პატარა ინგლისური ქალაქიდან. წესით, ესაა და ეს და მოთავდებოდა კიდეც დიდი ევროპული ბაზრობა. მაგრამ როგორ მოთავდებოდა, როცა ზინედინ ზიდანი „იუვენტუსში“ რჩება, „რეალის“ ფლორენტინო პერესი კი რაღაც იმგვარის გამოგონებას თუ მოხერხებას აპირებს, სანტიაგო ბერნაბეუმ რომ გააკეთა 50-იან წლებში.

პერესი ღიად აცხადებს, რომ 42 მილიონ დოლარად „ლივერპულიდან“ მაიკლ ოუენის გადმოყვანა სურს, 92 მილიონად კი ზიდანი უნდა იყიდოს „იუვენტუსისგან“. ოუენი ალბათ „ლივერპულში“ დარჩება. აი, ზიდანი კი... ზიდანი უნდა გადმოვიყვანოთ. ჩვენა, ყველანი უნდა მივაწვეთ, როგორც მძიმე გარდერობს და ტურინიდან მადრიდში გადავაჩოჩოთ.

რატომ?

რატომ და იმიტომ, რომ მადრიდში ზიდანი ფრთებს გაშლის, დაბლანდავს და მოქსოვს. ჩვენთვის საცქერლად უკეთესი იქნება, ვიდრე „იუვენტუსის“ შავთეთრ სამოსში, სადაც, გინდა თუ არა, მაინც ანჩელოტიანთ არტახებშია გამოკრული. მიიღე, გაიხედე, მიეცი. დიდებულია, მაგრამ ეგ ედგარ დავიდსისთვის და ანტონიო კონტესთვის მოუგონიათ და არა ზიდანისთვის. ზიდანი ცოდოა ამ საქმისთვის და ფეხბურთის მოყვარულიც ხომ ცოდოა და ცოდოა, რადგან წარამარა უნდა ისეთი ზიდანი, როგორიც ევრო 2000-ზე იხილა.

აი, ამიტომ უნდა მივაწვეთ, თორემ იმ 92 მილიონიდან ჩვენ და მთელი მსოფლიოს ზიდანისტებს რომ არაფერი შეგვხვდება, ცხადია.

„იუვენტუსი“ ვითომ მაგრად დგას, მაგრამ ბოლო ორი-სამი დღის ხმაური მიგვანიშნებს, რომ ბატონი პერესი ახლოა მიზანთან.

ჩვენც ეგ არ გვინდა?

რაც ევროპაში დრიმ-თიმების მოდა შემოვიდა, ასეთი ზაფხული ჯერ არ ყოფილა. მადრიდის „რეალსაც“ არასოდეს გაურტყამს ამგვარი ციფრები და ტრანსფერები. გადასვლა-გადმოსვლა ლამის არის და უფრო... თუმცა, ეს ხომ ვთქვით გასულ შაბათს.

ასე რომ, ზიზუ. უმჯობესია, მადრიდში და თან სწრაფად. თუმცა, რას გაიგებ? დიდ კომბინატორებს რას გაუგებ?

საცქერლად საუცხოო იქნება — ზიზუ და ფიგუ, მაკა და რაული, გუტი და... ჰო, ჰო, მაგრამ უკეთესებიც გვინახავს, ერთად რომ ვერ... აგერ მილანისკენ გავიხედოთ, გუნდია ეგეთი — „ინტერი“ ჰქვია.

ზინედინ ზიდანი — გაიქცევა თუ დარჩება?

ფიქრი მარბელას პლაჟზე წოლისას

არჩევანი ჩვენ და არადანი შენ

იმ შემადგენლობას, რომელმაც გასულ სეზონში ჩემპიონთა თასი მოიპოვა, მადრიდის „რეალმა“ შვიდი ფეხბურთელი დაამატა, მაგრამ არაა გამორიცხული ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ტრანსფერი ჯერ კიდევ წინ იყოს. გუშინაც ვწერდით — საუბარია „იუვენტუსიდან“ ზინედინ ზიდანის გადაყვანაზე.

საჯაროდ კი „სამეფო კლუბის“ დირექტორი ხოსე მარტინეს პირი ასე ამბობს: „შემადგენლობა პრაქტიკულად შეკრულია და ახალ მოთამაშეებს, ალბათ, აღარ ვიყიდით. მართალია არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული სიახლეები კიდევ იყოს, თუმცა ასეთი „ზომის“ გუნდი სრულიად საკმარისია“.

მაგრამ ჩვენ, მოდით მდიდარი კლუბის დიდმოხელეს ბრმად ნუ ვენდობით და ერთხელაც გადავავლოთ თვალი იმ სტრიქონებს, ევროპული სააგენტოები და გაზეთები ჯიუტად და მცირე განსხვავებით რომ ატრიალებენ.

განსხვავება ძირითადად თანხას ეხება, თორემ პრინციპი ყველგან ერთნაირადაა გადმოცემული: „რეალი“ „იუვენტუსს“ 92 მილიონ დოლარს ანუ ახლადშეძენილ ბრაზილიელ ფლავიო კონსეისაუსა და 57,5 მილიონს უხდის, რაც ტურინელებს ნახევარდაცვაში გარკვეულ კომპენსაციასა და „ინტერისგან“ კრისტიან ვიერის გადაბირების შანსს აძლევს.

ვინ წააგებს ამ შემთხვევაში? ერთი შეხედვით, „იუვენტუსი“, რომელიც ზიდანს კარგავს, მაგრამ მომიტევეთ, თუ ამაზე კერძო მოსაზრებას მოგახსენებთ: ჯერ ერთი ვიერი ძალიან კარგი ფორვარდია და ტურინელებს რეალურად ერთი ვარსკვლავის ნაცვლად მეორის შეძენა გამოუვათ — უბრალოდ, ნახევარმცველის მაგივრად ფორვარდის. მეორეც — შუა მოედნის არცთუ ურიგო ფეხბურთელს დაიმატებენ და მესამეც — ვეჭვობთ, ზიდანი კარლო ანჩელოტის „იუვენტუსში“ მაინც ტაქტიკურ ჩარჩოებშია მოქცეული.

შევეცდებით მესამე არგუმენტი უფრო გასაგებად ვთქვათ: საფრანგეთის ნაკრებში გამთამაშებელს მეტი თავისუფლება აქვს, რაც მას საუკეთესო თვისებების გამოვლენის საშუალებას აძლევს. იქ ზიდანი ნამდვილი ზიდანია, ისეთი, როგორიც მის გარდა ქვეყნად არავინ არის, „იუვენტუსში“ კი სქემა ზღუდავს, მაინც და მაინც ასე უნდა გააკეთოს და არა ისე, ეს კი, ალბათ, მეტნაკლებად სხვასაც შეუძლია.

ამწუთას ფრანგი ტურინშია. მარბელაში (ესპანეთია) გატარებული არდადეგების შემდეგ „იუვეს“ დაუბრუნდა და არჩევანის წინაშე დგას: მას შეუძლია ტურინელებთან კონტრაქტი 2005 წლამდე გაგრძელოს და ამით ხელფასიც გაიზარდოს, მაგრამ კომერციული საქმიანობის უფლებები დაკარგოს ან... „რეალში“ გადავიდეს.

არის კიდევ ერთი გარემოება: ზიდანს ესპანელი მეუღლე ჰყავს, რომელიც ქმარს კარგა ხანია თავისი სამშობლოსკენ ექაჩება. ერთი ხანობა იტალიაში ფეხბურთელს წაქეზებაც კი დაუწყეს, ცოლის ყმა ხომ არა ხარ, კაცი ხარ და ქალს უთხარი, სადაც მინდა იქ დავრჩებიო.

ამბობენ, რომ ესპანეთში გატარებული შვებულება მხოლოდ პლაჟზე წოლისა და კოკა-კოლას სმისგან არ შედგებოდა. ზიდანს და მის აგენტს „რეალის“ წარმომადგენლებთანაც უსაუბრიათ და, თითქოს, გულსაც უფრო მადრიდისკენ გაუწევია.

თუ „რეალმა“ ეს საქმე დააგვირგვინა, არაჩვეულებრივი შემადგენლობა მოიყრის თავს: ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, სტივ მაკმანამანი, რობერტო კარლოსი, რაული, ფერნანდო მორიენტესი...

თუმცა მანამდე საქმე ასეა: „დეპორტივოსგან“ ნაყიდი, თითქოსდა „იუვენტუსისთვის“ გადასაცემი ფლავიო კონსეისაუ, ვიგოს „სელტასგან“ 9,77 მილიონ დოლარად შეძენილ კლოდ მაკელელესთან ერთად „რეალის“ ბოლო შენაძენი გახლავთ. ორივემ ექვსწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კონსეისაუ და მაკელელე მადრიდელთა მეექვსე და მეშვიდე შენაძატი არიან. მანამდე ყველაზე ხმაურიანი „ბარსელონადან“ ლუიშ ფიგუს 56,1 მილიონიანი ტრანსფერი იყო. დანარჩენი ოთხი კი „რასინგიდან“ გადაბირებული პედრო მუნიტისი, მადრიდის „ატლეტიკოსგან“ ნაყიდი არგენტინელი სანტიაგო სოლარი, სელტელი ალბერტ სელადესი და „ვალიადოლიდის“ მეკარე სესარ სანჩესი გახლავან. სხვათა შორის სანჩესის ამბავი ჯერ კიდევ 1999 წელს გახლდათ გადაწყვეტილი.

ახლა ეს ყველაფერი ფულის ენაზე გადავთარგმნოთ: ჩამოთვლილ შვიდ ფეხბურთელში „რეალმა“ დაახლოებით 100 მილიონი გადაიხადა, თუმცა თავადაც ხომ გაყიდა — ნიკოლა ანელკა „პარი სენ ჟერმენში“, ფერნანდო რედონდო „მილანში“ და კრისტიან კარემბუ „მიდლსბროში“... ამ სამი ტრანსფერის შემოსავალი 50 მილიონზე მეტია.

... და თითქოს ამით „რეალი“ სატრანსფერო საქმიანობას ასრულებს. დირექტორმა, ხოსე მარტინეს პირიმ აკი განაცხადა კიდეც, შემადგენლობა უკვე დაკომპლექტებულია, მეტი აღარავინ გვჭირდებაო, მაგრამ იქვე დასძინა, რაღაც სიახლეებს მაინც ნუ გამოვრიცხავთო.

ვინძლო ეს ძალიან დიდი სიახლე გამოდგეს.

პაპუნა კედია

ეროვნულ ფეხბურთში ინფორმაციის

მიმოხილვა

მადრიდის „რეალმა“ ბოლოს და ბოლოს შეძლო კრისტიან ვიერის ყიდვა, ოღონდ ძვირი დაუჯდა: 30 მილიონ დოლარს პლუს მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი და რაული. გარიგების თანახმად, პირველი „იუვენტუსში“ გადავიდა, მეორე „მანჩესტერ იუნაიტედში“, ხოლო მესამე „ბარსელონაში“. 30 მილიონი „პარი სენ ჟერმენის“ ანგარიშზე გადაირიცხა.

სანაცვლოდ „ინტერმა“ „მიდლსბროში“ გაყიდა რონალდო, „არსენალშიც“ გაყიდა რონალდო და „პარმაშიც“ რონალდო გაყიდა, რასაც „ლაციოს“ ანგარიშზე 18,4 მილიონი დოლარი დაამატა. საპასუხოდ რომაელებმაც ჯუზეპე პანკარო და ალესანდრო ნესტა ერთი დღით ათხოვეს „ლივერპულს“, რომელმაც 14,3 მილიონად დაიტოვა მაიკლ ოუენი, რის გამოც „მარსელმა“ 12,6 მილიონი დოლარი გადაუხადა „პარი სენ ჟერმენს“, რომელმაც ნიკოლა ანელკა ზინედინ ზიდანსა და ლორან ბლანში გაცვალა, ხოლო პასუხად რონალდო ექვსი სეზონით „ინტერში“ გაანათხოვრა.

მაგრამ პრობლემა ის გახლავთ, რომ მიჩელ სალგადო „რეალის“ ყოფილი პრეზიდენტის, ლორენსო სანსის სიძეა, ხოლო მადრიდელთა ახალ ბოსს ფლორენტინო პერესს სანსის გაგონებაზე ტანზე აყრის. ამიტომ სალგადო ეყრება მეუღლეს და ხელახლა ქორწინდება, ოღონდ, ამჟამად „ბარსელონას“ პრეზიდენტის, ხუან გასპარის მამიდაზე, რის შედეგადაც უკვე შეიძლება ბუდევინ ზენდენის „სევილიაში“ გაშვება, თუმცა იმ პირობით. რომ „პარმა“ ფაბიო კანავაროს კიდევ ორი წლის განმავლობაში არ ძიჭყიდის „ინტერს“.

ვინაიდან „ინტერს“ ეს გეგმა ჩაეშალა, მან „იუვენტუსს“ მიყიდა რონალდო, „რომასაც“ მიყიდა რონალდო და „ფიორენტინასაც“ მიყიდა რონალდო, თუმცა დონატოს ფილიპ კოკუში გაცვლის შემდეგ „დეპორტივო ლა კორუნიას“ სტივ მაკმანამანისთვის „რეალში“ ხელფასის გაზრდის საშუალება მიეცა. საბოლოოდ „იუვენტუსმა“ „უდინეზს“ ათხოვა ალესიო ტაკინარდი და „ბარსელონასგან“ ითხოვა დევიდ ბექემი, რომელიც კატალონიელებმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ „არსენალში“ გაუცვალეს. ამან „ინტერს“ ხელ ფეხი გაუხსნა და მილანელმა „შავ ლურჯებმა“ მიუნხენის „ბაიერნისგან“ 6,4 მილიონ დოლარად იყიდეს რონალდო.

რაც შეეხება „ბაიერნის“ სატრანსფერო პოლიტიკას, იგი გაცილებით კონკრეტულია: „ბაიერნმა“ საკუთარი თავისგან იყიდა ბიქსენტე ლიზარაზუ, რომელიც საკუთარ თავსვე გაუცვალა ჯოვანი ელბერში. შედეგად, „ინტერმა“ „ლიდსს“ მიყიდა რონალდო, „მილანსაც“ მიყიდა რონალდო და „ბარსელონასაც“ მიყიდა რონალდო, რადგან „პარმამ“ 6,5 მილიონი და სავო მილოშევიჩი საგადასახადო ინსპექციას დაუმალა და შედეგად „ნაპოლისთვის“ ზდენეკ ზემანის გამორთმევით დააჯარიმეს.

„მილანმა“ კი ამასობაში კიევის „დინამოს“ დაუბრუნა და გამოართვა ანდრეი შევჩენკო. მანვე მადრიდის „რეალს“ ოლივერ ბირჰოფი და 6 მილიონი დოლარი შეაძლია და გამოართვა მიჩელ სალგადო, რომელიც იძულებული გახდა ხუან გასპარის მამიდასთან განქორწინებულიყო და ცოლად სერჯო კრანიოტის პირველი ცოლის მეორე შვილი (მესამე ქორწინებიდან) ეთხოვა.

და ყველას დაავიწყდა, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშება, სადაც უკლებლივ ყველა შეხვედრაზე გამოცხადდა თბილისის ფ. კ. „მაგრები“ ენგელბერტ პონტელავას ხელმძღვანელობით (დიდება მას) და უეფას მარეგულირებელი წესების თანახმად, გადაეცა თასი, რომლის დაჯილდოვების ცერემონიალიც კლუბის „ვისა, შე ახვაროს“ სტადიონზე გაიმართება.

პაპუნა კედია

პირველი, მეორე, მესამე... მეათე ენერგობლოკების საყურადღებოდ: გატყუებენ ბიჭებო!

დაიჭირე, არ გაუშვა: ბიქსენტე ლიზარაზუ და ვიღაცა

ერრეგნული ბიბლიოთეკა

მან ნახევარ ლივერპულს თავი შეაძულა

„ლივერპული“ — „ევერტონი“ ერთ-ერთი კლასიკური ინგლისური დერბია. როგორც ყველგან, ერთი კლუბის ქომაგებს მოწინააღმდეგე და მისი ფეხბურთელები გულზე არ ეხატებათ, მაგრამ რაოდენ საძულველია გულშემატკივართათვის ის მოთამაშე, რომელიც მათი საყვარელი კლუბიდან ქალაქის მეორე გუნდის ბანაკში გადავა. ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა ნიკ ბარმბიმ კი გაბედა, „ევერტონი“ დატოვა და ახლა „ლივერპულის“ მოთამაშეა.

ნიკ ბარმბი ლიდსელ გარი კელისაც გაექცა და „ევერტონსაც“

— ლივერპულის ერთი კლუბიდან მეორეში გადახვედით, თანაც „ლივერპული“ — „ევერტონის“ პრინციპული დაპირისპირება საქვეყნოდაა ცნობილი. „ენფილდს“ როგორ შეეგუეთ, რაიმე პრობლემები ხომ არ გქონდათ?

— არა, სირთულეები თითქმის არ მქონია, თავს მშვენივრად ვგრძნობ. „ლივერპული“ ჩინებული კლუბია, აქ ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობს. ვიცოდი, თუ ამ გუნდში ჩავირიცხებოდი, ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად შრომა მომიწევდა. ასეც ვაპირებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია, რაიმეს მიაღწიო. ვეცდები, თავიდანვე მოვინდომო და მწვრთნელზე შთაბეჭდილება მოვახდინო. ვგონებ, შემწევს ძალა, წარმატებებს მივაღწიო.

— ჯერ სეზონი არ დაწყებულა, გუნდები ამხანაგურ მატჩებს ატარებენ და ემზადებიან. წლევანდელი წინასასეზონო პერიოდი თუ განსხვავდება წინანდელებისგან?

— ბუნებრივია, ახალ კლუბში გადავედი და სიახლეებია. თუმცა ეს მოსალოდნელი იყო. მწვრთნელი, თანაგუნდელები გამოვიცვალე. მათთან შეგუება მომიწევს, მაგრამ ამაზე განსაკუთრებულად არც ვდარდობ. ყველაფერს დრო და ურთიერთობები მოიტანს. ჩემს მზადყოფნას დიდ ყურადღებას ვაქცევ. წინა კვირას „ფრაიბურგთან“ ამხანაგურ შეხვედრაშიც ვითამაშე. მოკლედ, სეზონი დაიწყება და ყველაფერი ნელ-ნელა გამოიკვეთება.

— ახალი სეზონისგან რას ელით, რა იმედები და გეგმები გაქვთ?

— „ლივერპულის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი უნდა დავიმკვიდრო. ვიმედოვნებ, ინგლისის ნაკრებშიც ხშირად მიმიწვევენ. ჩვენგან საქმისადმი პროფესიულ მიდგომას მოითხოვენ და ეს ყოველთვის მახსოვს. კლუბს ევროთასებზე უწევს თამაში. ჩემპიონატის გარდა იქაც უნდა გამოვიჩინოთ თავი. შარშან „ლივერპული“ პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე გავიდა, წლეულს მეტის მიღწევა დავისახეთ მიზნად. თუ კლუბი წარმატებებს მიაღწევს, ეს ყველა მოთამაშის დამსახურება იქნება. ვიმედოვნებ, მეც გამოვიჩენ თავს და ინგლისის ნაკრებში რეგულარულად მოვხვდები.

— „ევერტონის“ წინააღმდეგ თამაშზე რას იტყვით, ეს ხომ თქვენი ძველი კლუბია, თანაც ლივერპულული დერბი...

— მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ, ჩემი ამოცანა მინდორზე გამოსვლა და ნებისმიერ მატჩში ბოლომდე დახარჯვაა. მართალია, ოდნავი ზეწოლაა, როცა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშობ, მაგრამ შევეცდები, ამაზე ყურადღება არ გავამახვილო და ჩემი საქმე უმაღლეს დონეზე გავაკეთო.

— „ევერტონიდან“ წასვლა რატომ გადაწყვიტეთ?

— კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წელი მაკავშირებდა, მაგრამ ამ დროს საშუალება მომეცა, „ლივერპულში“ გადავსულიყავი. მოკლედ, გადავწყვიტე, გუნდი გამომეცვალა. ალბათ ვერავინ დამაბრალებს, რომ როცა „ევერტონში“ ვიყავი, ყველაფერს არ ვაკეთებდი ამ კლუბისთვის. იქ გატარებული დროით მეც კმაყოფილი ვარ, მაგრამ ერთი სეზონი მრჩებოდა და ვიფიქრე, რომ კლუბისა და გარემოს გამოცვლა არ მაწყენდა. ვგრძნობ, „ევერტონის“ ბევრი ფანი გავანაწყენე, თუმცა ჩემი ყოფილი გუნდის მთელ კოლექტივს წარმატებას ვუსურვებ.

— მაინცდამაინც „ლივერპულს“ რატომ მიაშურეთ?

— გამოგიტყდებით, „ევერტონიდან“ წასვლაზე ადრეც მიფიქრია, მაგრამ კონკრეტულად არ დამიგეგმავს, რომ „ლივერპულში“ ჩავირიცხებოდი. ეს შანსი უცაბედად მომეცა და ტიტულოვან კლუბში გადასვლაზე დავთანხმდი. მოწვევა „ჩელსიდანაც“ მომივიდა, მაგრამ „ლივერპული“ ვარჩიე.

— დაბოლოს, ერთსაც გკითხავთ: მართალია, რომ ბავშვობაში „ლივერპულს“ ქომაგობდით?

— დიახ, ასე იყო. „ლივერპულის“ ფანი ვიყავი და ამ კლუბში გადმოსვლაც ალბათ, ამიტომ ვარჩიე. ადრე „ლივერპულში“ გავესინჯე კიდეც, მაგრამ ისე მოხდა, რომ სხვა კლუბებშიც მომიწია თამაშმა, მერე „ევერტონში“ აღმოვჩნდი, ახლა კი „ლივერპულელი“ ვარ.

თარგმნა ნიკა შუბლაძემ

ამსტერდამის ოთხთა ტურნირი

აიაქსი 0:0 ლაციო

აიაქსი: ლობონტი, ვიერკლაუ, ბერგდოლმო (დე კეერი 59), კიეუ, ვიჩეგ, ვინტერი, ანოპერი (ვან დერ განი 70), ობრაინი, ვან დერ მეიდე, ბრეველაძე (ჰოსე 78), ბობსონი (გრონკიერი 86)

ლაციო: მარკეზანი, პანკარო (გოტარდი 46, ლუჩიანი 83), ბეზარეზი, სტანკოვიჩი, კოლონეზე (სანტარელი 79), მიხაილოვიჩი, ლომბარდო (ბარონინო 46), ნედველი, სალასი (ბერეტონი 71), დე ლა პენია, რავანელი

„აიაქსის“ ახალგაზრდული და გამოუცდელი (რამდენიმე ფეხბურთელის გარდა) გუნდი მრავალნაკად, თუმცა მძინარე „ლაციოს“ შეხვდა. რომაელთა თამაშის შესაფერისად სხვა სიტყვას ვერც ვიპოვით, რადგან მათ მთელი მატჩის მანძილზე მასპინძელთა კართან მხოლოდ ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნეს და ისინიც თავიდან ბოლომდე ერთი კაცის — პაველ ნედვედის დამსახურებაა.

„აიაქსი“ კი ბლომად უტევდა. განსაკუთრებით კარგად ითამაშა ენდი ვან დერ მეიდემ, რომელიც მარჯვენა ფლანგზე ჩინებულად ეხსნებოდა პარტნიორებს და ლუკა მარკეზანის კართან შექმნილ თითქმის ყველა სახიფათო მომენტში შეიტანა წვლილი. ტურნირის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, 20 წლის თავდამსხმელი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

მაყურებლებმა კი გოლი ვერა და ვერ იხილეს და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდნენ, რომ ერთ დროს მრისხანე და მერე დაჩაჩანაკებულ ამსტერდამელ კლუბს გამოჯამრთელების სიმპტომები დაეტყო.

ბარსელონა 2:1 არსენალი

1:0 გვარდიოლა (3 პენ.), **1:1** ტომასი (33), **2:1** კოკუ (39)

ბარსელონა: დუტრუელი, აბელარდო (რაიცგერი 53), ფ. დე ბური (ზენდენი 70), სერხი, კოკუ, გვარდიოლა, სიმაო (გაბრი 46), ხერარდი, ოვერმარსი (პეტი 46), კლუივერტი (რივალდო 53), დანი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ლიუნგბერგი (ბერგკამპი 61), ლორანი, სილვინინო, გრიმანდი, ლუფნი, კანუ, ვერნაცა (ანრი 61), ტომასი (პირესი 62)

თითქოს საოცარია, „აიაქსის“ მატჩს თითქმის ორჯერ ნაკლები მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე „ბარსელონა“ — „არსენალისას“. მიზეზი კი ის გახდა, რომ ამსტერდამელებს კატალონიელთა ჰოლანდიური დისპორის ხილვა უფრო აინტერესებდათ.

„ბარსელონამ“ სწრაფი გოლი შეაგდო. მე-3 წუთზე ინგლისელთა საჯარიმოში მარტინ კიოუნმა დანი წააქცია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. დევიდ სიმენმა ხოსეპ გვარდიოლას დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა.

ლონდონელებმა წონასწორობა 33-ე წუთზე აღადგინეს, როცა ტომასმა სილვინიოსგან უზუსტესი პასი მიიღო და უძლიერესად დაარტყა. თუმცა ბარსელონელებმა მეტოქეს გალაღება არ აცალეს და ექვსი წუთის შემდეგ გვარდიოლას კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ფილიპ კოკუმ თავურით გაიტანა. ამის შემდეგ ანგარიში აღარც შეცვლილა.

მეორე ტაიმში ლორენს სერა ფერერმა და არსენ ვენგერმა შემადგენლობებში რამდენიმე ცვლილება მოახდინეს, მაგრამ თამაში აღარ გამწვავებულა და გუნდებმა მატჩი მშვიდად ჩაამთავრეს. აღსანიშნავია, რომ „არსენალს“ ინგლისიდან ქომაგებიც მრავლად ჩაჰყვნენ და გული იმითღა მოიოხეს, რომ მეტოქის ბანაკში გადაბარგებულ ემანუილ პეტის და მარკ ოვერმარსს შეუსვენებლად უსტვენდნენ.

დღეს მეორე ტურია. „აიაქსი“ „ბარსელონას“ ხვდება, „ლაციო“ — „არსენალს“.

გიორგი დარჯანია

THE SUN

ბარსელონა — არსენალი 2:1. ყოფილი თანაგუნდელები მატჩამდე და თამაშისას: ემანუილ პეტიმ ნვანკვო კანუ მოიკითხა, ლი დიქსონმა კი მარკ ოვერმარსს არაფერი დაუთმო

სეზონი!? კითხვა - პასუხი

— აბა, ჩამოვწეროთ. აიღე პასტა და ფურცელი.

— რა უნდა ჩამოვწეროთ?

— ვინ სად გადავიდა.

— რა შავ ქვად მინდა?

— სეზონის წინ არ უნდა იცოდე?

— დაიწყება სეზონი და მივეჩვევი. შევხედავ, დავიმახსოვრებ...

— ყველას ვერ დაიხსომებ.

— ყველა არც მინდა.

— ჩართავ და ვერ იცნობ. ფორმა იგივეა, ხალხი კი სხვაა...

— ამ ბოლო დროს ფორმებსაც ვეღარ ვცნობ, ისე გადააკეთეს.

— ეს სილამაზისთვის ხდება.

— რა სილამაზისთვის? „მანჩესტერი“ რომ ლურჯით გამოვა და „რეალი“ შავით, რაღა უნდა გაიგო?

— ხომ ლამაზია და, არ გინდა?

— ლამაზი ერთია და რომ ვერ ვცნობ?

— ვის ვერ ცნობ, ბექემს?

— ბექემსაც ვეღარ ვცნობ, სხვათაშორის.

— ერთხელაც გაიხედე და „მილანის“ ფორმა აცვია. რას იზამ?

— მე რა უნდა ვქნა? თვითონ იკითხოს.

— რატომ? სან სიროზე ვერ ჩაახვევს?

— კი, მაგრამ გემო არ ექნება.

— გემო რა, ტორტია?

— აბა, რა არის? გემოა. მეტი არაფერი.

— და გაზა?

— გაზა დავაკვალიანეთ.

— „ევერტონში“?

— ხო. უკვე ორჯერ იჩხუბა.

— მერე რა გიხარია?

— აღარც მიხაროდეს?

— ეხლა, ჩოგბურთივით რომ გავზომოთ, გაზა რომელი ასეულში აქნება?

— ასეულები შენსკენ მოიკითხე. ზენდენებში, ბოგარდებში, ჯიმი ფლოიდებში...

— ჰმ.

— ეგრე ჩაუცინე რაიკაარდებს. გაზა რეიტინგებს გარეთ დგას.

— მდაა... არ ვიცოდი.

— „ფეიენოორდის“ დუბლები ხომ იცი? ბოსველტები?

— მთელს ევროპას ამარაგებენ და რა გინდა?

— მე გაზაზე ველაპარაკები და ეს მომარაგებაზე მელაპარაკება. როგორ შევთანხმდებით?

ფიფამ გლობუსი დაატრიალა

უეფამ 24 წელიწადში ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი შეიცხადა



REUTERS ციურიხიდან

იოზეფ ბლატერი

ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც გუშინწინ ციურიხში გაიმართა, სამი საკითხი განიხილეს: მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლის არჩევის ახლებული სისტემა, მსოფლიოს მეორე საკლუბო ჩემპიონატის გამართვის დროის, ადგილის და სტრუქტურის დადგენა და კონფედერაციათა თასის მასპინძლის არჩევა. მთავარია, ცხადი, დღის წესრიგის პირველი პუნქტი იყო და, ეს, როგორც ჩანს, ახალი დაპირისპირების საბაბიც გახდება.

მას შემდეგ, რაც ფიფას 5-6 ივლისის აღმასკომის სხდომა, რომელზეც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლად გერმანია აირჩიეს, სკანდალით დასრულდა (ფრანც ბეკენბაუერს აღმასკომის წევრთა მოქრთამვაში ადანაშაულებენ), ზეპ ბლატერმა კენჭისყრის პროცედურის შეცვლა მოითხოვა. 3 აგვისტოს სხდომაზე კი ფიფას პრეზიდენტის წინადადება პირველი წაკითხვით მიიღეს. დადგენილებაში წერია: „ფიფას აღმასკომი მხარს უჭერს 2010 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონატების როტაციული სისტემით გამართვას ექვსივე კონტინენტზე. აღმასკომმა ერთხმად დაუჭირა მხარი ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერის წინადადებას, რომლის თანახმადაც უკლებლივ ყველა კონტინენტს მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობის თანაბარი უფლება უნდა ჰქონდეს.“ ეს ნიშნავს, რომ ყოველი კონტინენტი მუნდიალის მასპინძლობას 24 წელიწადში ერთხელ შეძლებს.

ფიფას ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება ყველასთვის მისაღებია, გარდა ევროპისა. მოგეხსენებათ, უეფა ფიფაში შემავალი უმდიდრესი და ფრიად გავლენიანი კონფედერაციაა. სწორედ უეფას წევრები არიან ის ქვეყნები, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატის მსგავსი გრანდიოზული ტურნირების გამართვის ყველაზე უკეთესი პოტენციური საშუალება აქვთ. ამიტომაც უეფას არ სურს, რომ ის აფრიკელებთან თუ ოკეანეთელებთან გაათანაბრონ, რასაც ფიფას ახალი წესი ითვალისწინებს.

ისე, თანასწორუფლებიანობა კარგია, მაგრამ ახალი პროექტი როგორ იმუშავებს, საკითხავი აი, ეს არის. მაგალითად, ოკეანეთის კონფედერაციაში ათი ქვეყანაა: ავსტრალია, ტონგა, ფიჯი, ამერიკის სამოა, სამოა, ახალი ზელანდია, ტაიტი, სოლომონის კუნძულები, ვანუატუ და კუკის კუნძულები. საინტერესოა, ავსტრალიის გარდა (იქნებ ზელანდიაც) რომელი ოკეანეთური ქვეყანა შეძლებს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას? გამოდის, რომ ავსტრალიელებს ყოველ 24 წელიწადში დიდი ფეხბურთის სტუმრობა გარანტირებული ექნებათ მაშინ, როცა ინგლისს, გერმანიას, იტალიას, ესპანეთს, საფრანგეთს და კიდევ რამდენიმე ევროპულ ქვეყანას ამ უფლების მისაღებად 300-300 წელი მოუწევთ ცდა.

მოსალოდნელია, რომ უახლოეს დღეებში უეფას მესვეურები ფიფასთან საგანგებო მოლაპარაკებებს გამართავენ, რომელზეც კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებას შეეცდებიან.

აფრიკელები კი ფიფას გადაწყვეტილებამ იმდენად აღაფრთოვანა, რომ მათ სასამართლოში სარჩელის შეტანაც გადაიფიქრეს. შეგახსენებთ, რომ ისინი 6 ივლისს გამართული კენჭისყრის ხელახლა გამართვას მოიხოვდნენ. როგორც ამბობენ, ზეპ ბლატერი აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტ ისა ჰაიატუს დაპირებია, 2010 წელს მუნდიალი უცილობლად თქვენთან გაიმართება და სამხრეთაფრიკელებს წინ ვერავინ აღუდგებაო. ამ დაპირებამ გაჭრა.

ფიფას აღმასკომის სხდომაზე ორი სხვა საკითხი უპრობლემოდ გადაწყდა. მსოფლიოს მეორე საკლუბო ჩემპიონატი 2001 წლის 1-12 აგვისტოს ესპანეთში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ პირველ ჩემპიონატს ბრაზილიამ უმასპინძლა.

კონფედერაციათა თასის გათამაშება კი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის რეპეტიციად უნდა იქცეს. ფიფამ დაადგინა, რომ ამ არცთუ პრესტიჟულ ტურნირს კორეა-იაპონია უმასპინძლებს. 2001 წელს ამ ქვეყნებში მექსიკა (თასის ამჟამინდელი მფლობელი) და კონტინენტთა ჩემპიონები — საფრანგეთი, ბრაზილია, კამერუნი, კანადა და ავსტრალია ითამაშებენ. მათ მასპინძლებიც დაემატებიან. აღსანიშნავია, რომ იაპონელებს ამ შეჯიბრის მათთან გამართვის გამო აღფრთოვანება არ გამოუხატავთ, მაგრამ ფიფამ დაავალა და რა ექნათ.

გიორგი დარჯანია

ორი მარსელო: გალიარდო (მარცხნივ) და ბიელსა

არგენტინამ გალიარდო გაიხსენა

არგენტინის ნაკრები მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეშვიდე ტურში პარაგვაის შეხვდება. მატჩი 16 აგვისტოს ბუენოს აირესში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ არგენტინელთა ლიდერი გაბრიელ ბატისტუტა კარგა ხანია, დამტვრეულია, . ის გამოც შესარჩევი ეტაპის წინა ორი თამაში გამოტოვა. მისი მდგომარეობა მომჯობინებისკენ კი მიდის, მაგრამ 16 აგვისტომდე ფორმის აღდგენას ვერ შეძლებს, რის გამოც ნაკრებს კვლავ ვერ დაეხმარება.

თითქოს ბატისტუტას პრობლემა არ ჰყოფნიდაო, არგენტინელთა მწვრთნელ მარსელო ბიელსას ორი სხვაც დაემატა: წინა ტურში ბრაზილიასთან შეხვედრისას ხავიერ ძანეტიმ ტრავმა მიიღო, ხოლო კლაუდიო ლოპესმა ყვითელი ბარათი, რომელიც ყოფილი ვალენსიელისთვის მეორეა.

სამი ფეხბურთელის დაკარგვის გამო მარსელო ბიელსას ნახევარდაცვასა და თავდასხმაში სიცარიელეების ამოსავსებად ახალი ფეხბურთელების ძებნა მოუხდა და მონაკოელი მარსელო გალიარდო იპოვა.

გალიარდომ წინა ექვსი მატჩიდან მხოლოდ ერთში ითამაშა და ახლა ნაკრებში დაბრუნების კარგი შანსი აქვს.

შეგახსენებთ, რომ არგენტინა გათამაშების ცხრილს 15 ქულით უდგას სათავეში. ბრაზილია და ურუგვაი ლიდერს ოთხ-ოთხი ქულით ჩამორჩებიან.

შემადგენლობა:

მეკარეები: რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი), ხერმან ბურგოსი (მალიორკა, ესპანეთი);

მცველები: მაურისიო პოჩეტინინო (ესპანიოლი, ესპანეთი), რობერტო აიალა (მილანი, იტალია), ვალტერ სამუელი (რომა, იტალია), რობერტო სენსინი (ლაციო, იტალია), ხუან პაბლო სორინი (კრუზეირო, ბრაზილია), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი);

ნახევარმცველები: დიეგო სიმეონე, ხუან სებასტიან ვერონი (ორივე ლაციო, იტალია), მატიას ალმეიდა (პარმა, იტალია), გუსტავო ლოპესი (სელტა, ესპანეთი), კიელი გონსალესი (ვალენსია, ესპანეთი), პაბლო აიმარი (რივერ პლეიტი), მარსელო გალიარდო (მონაკო, საფრანგეთი);

თავდამსხმელები: არიელ ორტეგა (პარმა, იტალია), ერნან კრესპო (ლაციო, იტალია), ხულიო კრუზი (ფეიენოორდი, ჰოლანდია).

ბოკშიჩს მიდლსბროში ელიან

„ალენ ბოკშიჩი მომავალი სეზონიდან „მიდლსბროში“ ითამაშებს, მან მხოლოდ ინგლისში მუშაობის უფლება უნდა მიიღოს“ — აცხადებს ცნობილი სააგენტო „ბი-ბი-სი“ და იქვე ხორვატ ფეხბურთელს „ლაციოს“ ფორვარდად მოიხსენიებს. აქ კი ვითარება ოდნავ გაურკვეველი ხდება. „როიტერის“ ადრინდელი ინფორმაციით, ალენ ბოკშიჩი ახლა, წესით, „გალათასარაიში“ უნდა ირიცხებოდეს, თურქეთის ჩემპიონმა და უეფას თასის მფლობელმა ხორვატი თავდამსხმელი და მარიო ჟარდელი ერთად შეიძინა.

მოკლედ, ორი ურთიერგამმრიცხავი ცნობაა. „როიტერი“ ირწმუნება, ბოკშიჩი „გალათასარაის“ ფეხბურთელია, ხოლო „ბი-ბი-სი“ — „ლაციოსი“.

„ბი-ბი-სი“ იტყობინება, რომ „მიდლსბრო“ ბოკშიჩის სანაცვლოდ 2,5 მილიონ გირვანქას იხდის, თუმცა ინგლისის სამუშაო ვიზასთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა, რადგან ალენს ხორვატიის ნაკრებში საკმარისი რაოდენობის მატჩები არ ჩაუტარებია. მაგრამ პრემიერლიგელები იმედოვნებენ, რომ ამ საკითხს მალე მოაგვარებენ და ფორვარდი ახალ სეზონს „მიდლსბროში“ დაიწყებს. „რივერსაიდ სტედიუმზე“ ბოკშიჩი მესამე ახალწვეული თავდამსხმელი იქნება, „მიდლსბრომ“ ცოტა ხნის წინ ნოელ ვილანი და იოზეფი გადაიბირა.

ალენ ბოკშიჩი

ხორვატმა ფეხბურთელმა კარიერა სპლიტის „ჰაიდუკში“ დაიწყო, შემდეგ საფრანგეთში გაგრძელა თამაში, სადაც „კანისა“ და მარსელის „ოლიმპიკის“ ღირსებას იცავდა.

1993 წელს ბოკშიჩი „ლაციოში“ ჩაირიცხა, იქიდან „იუვენტუსში“ მოხვდა, მერე კი კვლავ „ლაციოს“ დაუბრუნდა. ალენს წლეულს ტრავმა ჰქონდა და წინა სეზონში სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ 15-ჯერ გამოჩნდა მინდორზე.

კორექტურამ კაცი შეიწირა

26 ივლისს, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩის წინ, რომელშიც ჩეხური „სლავია“ აზერბაიჯანულ „შამქირს“ მასპინძლობდა, გაუგებრობა მოხდა: მატჩის პროგრამაში ჩეხებმა შეცდომით „შამქირის“ ნაცვლად „შამხორი“ დაბეჭდეს და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის ემბლემაც აზერბაიჯანული კლუბისად გაასაღეს.

„შამქირის“ პრეზიდენტმა თორგულ გაჯიევმა, რომელიც იმავდროულად აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, აღნიშნული პროგრამა გადაშალა და მშობლიური კლუბის დამახინჯებული სახელის ხილვა არ ესიამოვნა. თუმცა გაჯიევი მასპინძელთა წყენინებას მოერიდა და გაჩუმება არჩია, ვინ არ შემცდარაო. მაგრამ იქვე სომხურ ემბლემასაც რომ მოჰკრა თვალი, ვეღარ მოითმინა და მეტოქე გუნდის პრეზიდენტთან საჩივლელად მივიდა — ვიცი, რომ უპატივცემულობით არ მოგსვლიათ, მაგრამ ამგვარი შეცდომისთვის ვინძლო ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობაც გაფუჭდესო.

მეორე დღესვე ბაქოში, „შამქირის“ ოფისში, „სლავიას“ გენერალური დირექტორის ვლადიმირ ლესკას წერილი მივიდა, სადაც ჩეხი აზერბაიჯანელებს ათასჯერ ბოდიშის მოხდის მერე აუწყებს, დაუდევრობისთვის კლუბის პრეს-ატაშე დავითხოვეთო.

ჩეხები სკანდალს გადაურჩნენ, აზერბაიჯანელები დაწყნარდნენ, მაგრამ უმუშევრად დარჩენილ კაცს რაღა ეშველება? ჩვენს დროში ახალი სამსახურის პოვნა როგორი საქმეა...

ჩუკოტკაში ფეხბურთი გაიქცინა

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ რუსეთის პირველ დივიზიონში თამაშობდა გუნდი, რომელიც მეტ. ; უცნაურად იწოდებოდა — მოსკოვის „სპარტაკ-ჩუკოტკა“, თუმცა მას ხშირად „არქტიკულ სპარტაკადაც“ მოიხსენიებდნენ. სახელის ამბავი ქვემოთ განვმარტოთ, ახლა კი გუნდის ბედზე ვთქვათ.

წინა უქმეებზე „არქტიკული სპარტაკი“ ჩემპიონატის მორიგ ტურში ჩიტას ესტუმრა და იქაურ „ლოკომოტივთან“ 0:7 განადგურდა. ანგარიში გასაოცარი სულაც არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ კლუბის პრეზიდენტმა ჩიტაში მხოლოდ 11 ფეხბურთელი ჩაიყვანა, დანარჩენებისთვის ბილეთების ფული ვერ შეაგროვა და უკაპიკოდ დარჩა. უფულო გუნდს კი ჩემპიონატში რა ესაქმება, ის დაიშალა.

სახელთან დაკავშირებით კი ასეთი ისტორიაა. კლუბი ჩუკოტკაში იყო რეგისტრირებული, მაგრამ ფეხბურთელები მოსკოვში ცხოვრობდნენ და საშინაო მატჩებს რუსეთის დედაქალაქში მართავდნენ. შარშან კი ნამდვილად „სპარტაკთან“ თანამშრომლობის ხელშეკრულებასაც მოაწერეს ხელი და მის საბაზო გუნდად იქცნენ.

ჩუკოტკელთა მოსკოვში დაბინავებას კი ლოგიკური ახსნა აქვს. ამ ორ პუნქტს შორის მანძილი ცხრა სასაათო ზოლია და ჩემპიონატის ტურებზე ყოველ კვირა აქეთ-იქით სიარული როგორი საქმე იყო, პირველდივიზიონელთა უმრავლესობა ხომ რუსეთის ევროპულ ნაწილს წარმოადგენს.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

	საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-2 ტური			
	5 აგვისტო			
003	ბასტია-ბორდო	2,4	2,9	2,8
004	ლანსი-გენგამი	1,45	3,5	7,0
005	ლანსი-გენგამი 0:1	2,1	3,0	2,3
006	მეცი-ოსერი	2,1	2,9	3,4
007	რენი-პარი სენ ჟერმენი	2,8	2,9	2,4
008	სტრასბური-ლილი	1,8	2,9	4,4
009	ტრუა-ტულუზი	1,9	2,9	4,0
	საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-2 ტური			
	5 აგვისტო			
011	ანჟე-აიაჩო	2,3	2,9	3,0
012	კანი-ნიორი	1,8	2,9	4,4
013	გენიონი-ნიცა	1,8	2,9	4,4
014	ლე ავრი-ბოვუა	1,35	4,0	7,5
015	ლე ავრი-ბოვუა 0:1	1,9	3,2	2,6
016	ლე მანი-მარტიგი	1,7	3,0	5,0
017	მონპელიე-კაენი	1,5	3,4	6,5
018	სოშო-შატორუ	1,6	3,1	6,0
019	ვასკეალი-კრეტეი	2,2	2,8	3,3
	6 აგვისტო			
020	ნანსი-ლავალი	1,6	3,1	6,0
	ჩეხეთი. მე-2 ტური			
	5 აგვისტო			
022	სლავია-პლზენი	1,15	6,0	12,0
023	სლავია-პლზენი 0:1	1,4	3,6	4,0
024	ბლშანი-სიგმა	1,9	3,0	3,8
	6 აგვისტო			
025	პრჟიბრამი-ტეპლიცე	2,2	2,9	3,2
026	ჟიჟკოვი-ბანიკი	2,1	2,9	3,4
027	იაბლონეცი-ლიბერეცი	2,3	2,9	3,0
028	ბუდეიოვიცე-ბოჰემიანსი	2,1	2,8	3,5
029	დრნოვიცე-სინოტი	1,35	4,0	7,5
030	დრნოვიცე-სინოტი 0:1	1,9	3,2	2,6
	პოლონეთი. მე-3 ტური			
	5 აგვისტო			
031	ზაგლებე-რაძიონკოვი	1,5	3,4	6,5
032	შლიონსკი-ოდრა	2,0	3,0	3,5
033	ვისლა-ვიძევი	1,4	3,8	7,0
034	ვისლა-ვიძევი 0:1	1,9	3,4	2,4
035	ამიცა-სტომილი	1,5	3,5	6,0
036	ლეგია-გროცლინი	1,25	5,0	9,0
037	ლეგია-გროცლინი 0:1	1,7	3,2	3,2
038	რუხი-პოგონი	1,55	3,4	5,6
	6 აგვისტო			
039	კატოვიცე-პოლონია	4,2	3,0	1,8
040	პლოცკი-გურნიკი	2,0	2,9	3,6
	შოტლანდია. მე-2 ტური			
	5 აგვისტო			
041	აბერდინი-სენტ მირენი	1,6	3,2	5,6
042	სელტიკი-მოზერუელი	1,2	5,6	10,0
043	სელტიკი-მოზერუელი 0:1	1,5	3,5	3,5
044	დანდი-დანფერმლაინი	1,6	3,2	5,6
045	ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი	1,9	2,9	4,0
046	კილმარნოკი-რეინჯერსი	6,5	3,6	1,45
	6 აგვისტო			
047	სენტ ჯონსტონი-ჰართსი	2,4	3,0	2,7
	ავსტრია. გადადებული მატჩები			
	5 აგვისტო			
048	გრაცერი-ზალცბურგი	2,2	2,9	3,2
049	აუსტრია-რიდი	1,7	3,0	5,0
	შვეიცარია. "ა" ჯგუფი. მე-5 ტური			
	5 აგვისტო			
052	გრასჰოპერი-ლუცერნი	1,4	3,8	7,0
053	გრასჰოპერი-ლუცერნი 0:1	1,9	3,4	2,4
054	არაუ-ციურიხი	2,5	2,9	2,6
055	ლუგანო-სიონი	2,0	2,9	3,6
056	ივერდონი-ბაზელი	3,0	2,9	2,3
	შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. მე-6 ტური			
	5 აგვისტო			
057	სოლოთურნი-ბელინცონა	3,1	3,0	2,2
058	ვანგენი-თუნი	2,4	2,9	2,8
059	ვინტერთური-ბადენი	2,2	2,9	3,2
060	კრინსი-დელემონი	2,5	2,9	2,6
061	ლოკარნო-ვილი	2,4	3,0	2,7
062	იანგ ბოისი-კარუჟი	1,65	3,1	5,3
	დანია. მე-3 ტური			
	5 აგვისტო			
064	მიდტიულანდი-ბრიონდბიუ	2,9	3,2	2,2
	6 აგვისტო			
065	აკადემისკი-ჰადერსლევი 18.00	1,3	4,4	8,0
066	აკადემისკი-ჰადერსლევი 0:1	1,8	3,3	2,8
067	ოდენსე-ორჰუსი 18.00	2,2	3,1	3,0
068	კოპენჰაგენი-ლიუნგბიუ	1,7	3,3	4,2
069	ოლბორგი-სილკებორგი	1,7	3,2	4,4
	რუსეთი. მე-20 ტური			
	5 აგვისტო			
070	როტორი-კრილია 18.00	1,7	3,0	5,0
071	ფაკელი-სპარტაკი 18.00	5,6	3,6	1,5
072	ჩერნომორეცი-ზენიტი 18.00	1,9	2,9	4,0
073	სატურნი-როსტსელმაში 18.00	1,8	2,9	4,4
074	დინამო-ალანია 18.00	1,6	3,2	5,6
075	ნოვგოროდი-ურალანი 18.00	2,0	3,0	3,3
076	ტორპედო-ცსკა 18.00	1,75	3,2	4,0
	შვედეთი. მე-14 ტური			
	5 აგვისტო			
077	ჰელსინგბორგი-ჰალმსტადი	2,5	3,0	2,5
	6 აგვისტო			
078	ნორჩიოპინგი-ელფსბორგი	1,9	3,0	3,8
079	იორებრო-იორგრიტე	2,0	2,9	3,6
	7 აგვისტო			
080	სუნდსვალი-ტრელებორგი	2,3	3,1	2,8
081	გაის-ჰეკენი	2,3	3,0	2,9
082	ჰამარბი-ფრიოლუნდა	1,4	3,8	7,0
083	ჰამარბი-ფრიოლუნდა 0:1	1,9	3,4	2,4
	ნორვეგია. მე-18 ტური			
	6 აგვისტო			
084	ბოდიო გლიმტი-სტაბეკი	2,3	3,0	2,9
085	ბრინი-ჰაუგესუნდი	2,0	3,0	3,5
086	ოდ გრენლანდი-მოლდე	2,3	3,0	2,9
087	რუსენბორგი-ვიკინგი	1,45	3,6	6,5
088	რუსენბორგი-ვიკინგი 0:1	2,0	3,2	2,3
089	სტარტი-ლილესტრიომი	3,5	3,0	2,0
090	ტრომსიო-ბრანი	2,4	3,0	2,7
091	ვოლერენგა-მოსი	1,75	3,3	3,8
	ბელგია. სუპერთასი (ნეიტრალურზე)			
	5 აგვისტო			
092	ანდერლეხტი-გენკი	1,7	3,1	4,7

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

ვლადიმერ ბოისა

ვლადიმერ ბოისა ექიმების ხელში ჩავარდა

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისა და ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ფორვარდი ვლადიმერ ბოისა შესაძლოა საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდეს. სამშობლოში გატარებული შვებულების შემდეგ სლოვენიაში დაბრუნებულ ვოვას „ოლიმპიას“ პირველივე ვარჯიშზე ფეხი წამოსტკიებია და...

— ლიუბლიანაში 30 ივლისს ჩამოვედი. მეორე დღეს „ოლიმპიას“ ვარჯიშზე გამოვცხადდი. ისეთი არაფერი გაგვიკეთებია, მწვრთნელმა, ზმაგო საგადინმა, მსუბუქად გახურდითო და სწორედ მაშინ ვიგრძენი ტკივილი. ვიფიქრე, უვარჯიშებელი რომ ვარ, ამის ბრალია-მეთქი, მაგრამ მეორე დღესაც რომ იგივე განმეორდა ექიმებს მივმართე.

— რაო, რა დიაგნოზი დაგისვეს?

— რენტგენმა არაფერი აჩვენა, ჯერ ვერ გაარკვიეს, რა მჭირს, მხოლოდ ის მითხრეს, ორთავა კუნთი გაქვს დაზიანებული და ნემსებით უნდა გიწამლოთო. ექიმთა თქმით, ამ მეთოდით მკურნალობამ ორ-სამ დღეში უნდა გამოიღოს ნაყოფი, თუ არა, ნაღდად ოპერაცია დამჭირდება.

— სხვა დროს არ შეუწუხებიხართ ფეხს?

— ძველი ტრავმაა, ადრეც მაწუხებდა, მაგრამ გაცილებით უფრო მსუბუქად, მაინცდამაინც არ ვაქცევდი ყურადღებას. პირველად შვეიცარიაში წამომტკივდა შარშანდელ მაისში, მაშინ საქართველოს ნაკრებს ვახლდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. მას შემდეგ, ჩემი ჭკუით, ვიმკურნალე, მაგრამ აგერ, ახლაც შემახსენა თავი. ჩანს, ტრავმა სერიოზულია, ვნახოთ, ამ კვირის ბოლომდე დავიცდი და სხვა საშველი თუ არ იქნა, აღარ გადავდებ ოპერაციას.

— ცუდ დროს დაემთხვა, თქვენ ხომ წლეულს „ოლიმპიაში“ ადგილის დამკვიდრების რეალური შანსი მოგეცათ...

— ამაზე მეც ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რას ვიზამ, ვერაფერს შევცვლი. ისე, ექიმებმა დამაიმედეს, ოპერაცია რომც დაგჭირდეს, ნუ იდარდებ, სარეაბილიტაციოდ მცირე დროც გეყოფაო.

— ზმაგო საგადანმა რა თქვა, თქვენი ამბავი რომ შეიტყო?

— სასწრაფოდ ამიკრძალა ვარჯიში. ფეხს მიხედე, ყველაზე მთავარი შენი ჯანმრთელობააო. სხვა არაფერი უთქვამს.

— გუნდში რა ხდება, სიახლე არაფერია?

— არაფერი. იგივე სიტუაცია დამხვდა, როგორიც საქართველოში წამოსვლამდე დავტოვე. ჯერ მხოლოდ ახალგაზრდები და ძირითადი გუნდის ექვსი წევრი ვარჯიშობს. ახალწვეულთაგან მხოლოდ იუგოსლავიელი არსიჩია ადგილზე. კუნასის „ულალგირისიდან“ გადმოსული მინდაუგას ჟუკაუსკასი კი ლიტვის ნაკრებთან ერთად ოლიმპიადისთვის ემზადება და მოგვიანებით შემოგვიერთდება. „ოლიმპიას“ სამი წამყვანი კალათბურთელიც სლოვენიის ნაკრებს ახლავს არგენტინულ ტურნეზე. მათ შორისაა გოლემაციც, რომელიც ფორვარდის პოზიციაზე ჩემი უშუალო კონკურენტია. ახალი სეზონისთვის სერიოზულ სამზადისს 13 აგვისტოს შეუდგება „ოლიმპია“, ამ დროისათვის გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრიბება და ორკვირიან წვრთნას აქვე, სლოვენიაში გავივლით. იმედი მაქვს, მეც გუნდთან ერთად ვიქნები, იმის გაფიქრებაც მიმძიმს, რომ ვარჯიშის ნაცვლად თავს საოპერაციო მაგიდაზე ამოვყოფ.

გიორგი გიკაჯვილი

ერთგულებაზე ფული ღირს

NBA

თავისუფალ აგენტთა ბაზარზე დღითიდღე მცირდება რიგიან „უპატრონო“ კალათბურთელთა რიცხვი. ამ დღეებში თავისუფალ აგენტთა ლეგიონს კიდევ ორი — ჯალენ როუზი და ოსტინ კროშერი გამოაკლდა. ორივე მათგანი ზღაპრულ ფასად გაიყიდა. ისინი ძველმა გუნდმა — „ინდიანა პეისერზმა“ იყიდა.

ინდიანელებს ეს „სიამოვნება“ ძვირი დაუჯდათ. ეს კალათბურთელები რომ დაეტოვებინათ, კლუბის ხელმძღვანელობას ბევრი მილიონის გაღება მოუხდა. 2 აგვისტოს ოსტინ კროშერმა ხელი მოაწერა შვიდწლიან და 51-მილიონიან კონტრაქტს, ხოლო ჯალენ როუზმა ასევე შვიდწლიანი, ოღონდ 93-მილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა კლუბთან. რამდენიმე დღის წინ „პეისერზმა“ 39 წლის სემ პერკინსი დაითანხმა, კიდევ ერთი წლით დარჩენილიყო კლუბში და საერთოდ, კალათბურთში. თუმც ეს უკანასკნელი „პეისერზისთვის“ არცთუ მნიშვნელოვანი ფიგურაა პირველ ორთან შედარებით, შესაბამისად, არც მისთვის შეთავაზებული 2,5 მილიონია დიდი ბედენა.

ამგვარად, შარშანდელი სეზონის ვიცე-ჩემპიონმა მოახერხა და საკუთარ თავისუფალ აგენტთა ზუსტად ნახევარი შეინარჩუნა. ახლა კლუბის ხელმძღვანელები ცდილობენ, დარჩენილი სამი კალათბურთელიც დაიყაბულონ დარჩენაზე. სამივე „პეისერზის“ სასტარტო ხუთეულის წევრია, ესენი არიან მარკ ჯეკსონი, რიკ სმიტსი და გუნდის ლიდერი რეჯი მილერი. ეს უკანასკნელი თითქმის თანახმაა, არ მიატოვოს გუნდი, სადაც თავისი კარიერის ცამეტივე სეზონი გაატარა, თუმც ამ ორი თვის წინ სხვაგან გადასვლა ამოიჭრა გულში. თუ „ინდიანას“ ეს ხალხი არ შემოეფანტა, კვლავ შეუტევს ჩემპიონის ტიტულს, ზემოხსენებული კალათბურთელების გარეშე კი ამაზე ფიქრი წარმოუდგენელია. ყოველ შემთხვევაში, კლუბმა ნახევარი საქმე გააკეთა, თუმც სანამ ვარსკვლავებს თავისთან დაიგულებდა, სიმწრის ოფლი გვარიანად ღვარა.

განსაკუთრებით გაჭირდა ოსტინ კროშერის დაყოლიება. ვიცე-ჩემპიონთა მეექვსე მოთამაშემ, რომელმაც შარშან საუკეთესო სეზონი ჩაატარა, არაერთი კლუბისგან მიიღო სარფიანი წინადადება. ყველაზე თვალისმომჭრელი კონტრაქტი მას „ტორონტომ“ შესთავაზა — 50 მილიონი ექვს წელიწადში და თითქმის დაითანხმა კიდეც, მაგრამ „ინდიანას“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა აიზია ტომასმა იმდენი ირბინა კროშერსა და კლუბის მამებს შორის, სანამ კალათბურთელს თითქმის ისეთივე ხელშეკრულება არ დაუდო წინ — 51 მილიონი მხოლოდ შვიდ წელიწადში. კროშერიც დაყაბულდა, მით უმეტეს, რომ არც ვიცე-ჩემპიონი გუნდი ეთმობოდა.

ჯალენ როუზის გუნდში დატოვებას ნაკლები ჭაპანწყვეტა და მეტი მილიონი დასჭირდა. როუზი თავიდანვე ამბობდა, ეს კლუბი ყველას მირჩევნია და თუ კარგი წინადადება შემომთავაზეს, არსად წავალო. მან მიიღო კიდეც ზღაპრული პირობები, „ინდიანამ“ კი — მისი თავი. როუზი გუნდისთვის ერთობ საჭირო მოთამაშეა. მან კროშერის დარად „პეისერზის“ ძველი მწვრთნელის. ლარი ბერდის ხელში გაიბრწყინა. იგი გასული სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე გახდა და ეს მიღწევა იმით აღნიშნა, რომ ლიდერ რეჯი მილერს გუნდის ბომბარდირის წოდება ჩამოართვა. როუზი მატჩში საშუალოდ 18,2 ქულას აკეთებდა, რაც ერთი მეათედი ქულით მეტია მილერის შედეგზე, ხოლო პლეი ოფში კიდევ უფრო უკეთესად გაიარჯა, ვიდრე რეგულარულ ჩემპიონატში. აქ მან თავისი შედეგიანობა მატჩში საშუალოდ 20,8 ქულამდე აამაღლა. როუზის კარგი თამაში რომ არა, „ინდიანა“, ალბათ, ფინალისკენ მიმავალი გზის შუაგულში შეჩერდებოდა, თუმც როუზი, მილერი და სხვა ზემოხსენებული კალათბურთელები ფინალში „ლეიკერს“ ვეღარ მოერევნენ. ახლა როუზი, ისევე, როგორც კლუბის ხელმძღვანელები, იმედოვნებს, რომ მის მაგალითს, „პეისერზის“ სხვა წამყვანი თოთამაშეებიც მიბაძავენ და ყველა ერთად შეუდგება აღმართს ჩემპიონობისკენ.

ივანე კოგიაშვილი



ჯალენ როუზი კვლავაც „ინდიანას“ მეტოქეთა კალათს დაბომბავს

დიახაც, უყოჩაღიათ!

ევროპის კადეტთა ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი

საქართველო 95:68 იტალია

3 აგვისტო. რაზგრადი

საქართველო	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	ფოლ.	ქ.
ათუაშვილი	11	1/1	0/0	0/0	4	0	0	5	2
ჩავლეიშვილი	28	4/12	0/0	1/2	6	0	0	3	9
გამყრელიძე	11	0/1	1/1	0/0	1	3	2	2	3
მარხვაშვილი	33	6/13	1/1	3/4	1	5	3	1	18
მარკოიშვილი	25	3/6	0/3	5/6	7	3	2	1	11
მდივანი	10	5/9	0/1	1/1	9	0	0	5	11
ორდენიძე	16	0/0	2/2	2/2	5	2	1	2	8
სანიკიძე	21	2/7	0/0	3/6	5	0	0	3	7
საყვარელიძე	23	6/7	0/0	3/5	6	2	2	4	15
ვაშაკიძე	22	2/2	1/3	4/5	3	2	4	2	11
სულ	200	29/58	5/11	22/31	47	17	14	28	95

იტალია	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	ფოლ.	ქ.
ბარნიანი	7	0/0	0/0	2/2	0	0	0	1	2
ბენფატო	8	1/2	0/0	3/4	4	0	0	4	5
ბოლკატო	25	1/9	1/3	7/10	6	0	0	5	12
ბოსინი	26	0/4	1/1	0/0	2	0	0	2	3
კოსტანტინო	18	1/4	0/0	3/4	0	0	0	4	5
ფანტინი	22	2/8	0/0	5/8	2	0	0	2	9
ფერი	29	3/4	0/1	0/0	3	0	0	2	6
მაზე	20	2/5	0/0	2/4	0	1	0	0	6
ნეგრი	6	0/1	0/0	0/0	0	0	0	2	0
პინ დალ პოსი	14	2/2	0/0	3/3	3	0	0	0	7
სორენტინო	25	3/6	1/3	4/5	3	1	0	2	13
სულ	200	15/46	3/8	29/41	23	2	0	24	68

ბულგარეთის ქალაქ რაზგრადში, ევროპის კადეტთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ქართველებმა წარმატებული სტარტი აიღეს. ჩვენებურებს დიახაც რომ უყოჩაღიათ, შეხვედრის ოქმზე თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ საკმაოდ იოლად დაჯაბნეს იტალიელი თანატოლები და ტურნირის ფავორიტთა მარაქაშიც გაერივნენ.

2 აგვისტოს, შეჯიბრების დაწყების დღეს ქართველები ისვენებდნენ, შესაბამისად, სატურნირო ცხრილში წინ მყოფ იტალია-ბულგარეთზე ერთით ნაკლები მატჩი გამართეს, მაგრამ მაინც ჯგუფის პოტენციურ ლიდერებად ითვლებიან.

ფავორიტად შერაცხულ იტალიელთა ძლევის შემდეგ ქართველებს ალბათ შესარჩევ ციკლში გაღწევა აღარ უნდა გაუჭირდეთ. შეგახსენებთ, შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლებას სამი საუკეთესო ნაკრები მოიპოვებს.

სატურნირო ვითარება					
იტალია	2	1	1	146:144	3
ბულგარეთი	2	1	1	129:134	3
საქართველო	1	1	0	95:68	2
ისრაელი	1	1	0	71:57	2
უნგრეთი	2	0	2	113:151	2

წლების მანძილზე საკალათბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ ექიმი მენგიზ ჭუთაველაძე 75 წლისა გახდა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ამაგდარ კაცს და უსურვებს ჯანმრთელობას და მხნეობას.

ჯადოსნური ვაჭრობა

როგორც იქნა, აისრულა საწადელი „ორლანდო მეჯიქმა“. „ჯადოებმა“ სამ აგვისტოს ოფიციალურად აიყვანეს ორი მძლავრი კალათბურთელი — ექსდეტროიტელი გრანტ ჰილი და ყოფილი ტორონტოელი ტრეისი მაკგრეიდი. ორივე თავისუფალი აგენტი გახლდათ, მაგრამ „ორლანდოს“ ისინი ამგვარი სტატუსით არ აუყვანია. „დეტროიტმა“ ჰ ილს ჯერ შვიდწლიანი და 92,8-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა და შემდეგ „მეჯიქს“ ბენ ვოლესში და ჩაკი ეტკინსში გაუცვალა. ზუსტად ამგვარადვე მოიქცა „ტორონტოც“. კანადურმა კლუბმა მაკრეიდისაც ზუსტად ანალოგური კონტრაქტი გაუფორმა და შემდეგ „ორლანდოში“ გაუშვა, სანაცვლოდ კი მომავალი დრაფტის პირველ წრეში არჩევანის გაკეთების უფლება მიიღო. ვინ დარჩა ამ გაცვლით მოგებული, დღესავით ნათელია. „ორლანდომ“, შეიძლება ითქვას, ჩალის ფასად შეიძინა ორი ვარსკვლავი. მართალია, რაღაც მაინც გაიღო ჰილისა და მაკგრეიდის სანაცვლოდ, მაგრამ ეს იმდენად მცირეა, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს. რაც შეეხება „დეტროიტს“ და „ტორონტოს“, მათთვის სხვა შემთხვევაში ასეთი გაცვლა რომ შეეთავაზებინათ, სასაცილოდაც არ ეყოფოდათ, მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, რადგან თავიანთ ვარსკვლავებს, როგორც თავისუფალ აგენტებს, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ჰკარგავდნენ.

„ორლანდოში“ ჰილის და მაკგრეიდის მისვლა შეიძლება ამ გუნდის აღმასვლის წინაპირობად ჩაითვალოს. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ „ჯადოები“ კვლავ იბრძოლებენ მაღალი მიზნებისთვის და იქნებ ჩემპიონობაზეც განაცხადონ პრეტენზია. რატომაც არა? თუ ეს ორი კალათბურთელი ძველ ორლანდოელებს და ერთმანეთს კარგად შეეწყო, ფლორიდელები პლეი ოფში ბერის გამწარებას მოახერხებენ. „ჰილისა და მაკგრეიდის მოსვლა ჩვენ საშუალებას მოგვცემს, აღმოსავლეთში პირველობისთვის კვლავ ვიბრძოლოთ. ამას კარგა ხანია ველოდით და ახლა შეგვიძლია ეს ჩვენი კოლოსალური შრომის ანაზღაურებად ჩავთვალოთ“ — ამბობს კლუბის გენერალური მენეჯერი ჯონ გაბრიერი, რომელიც „ორლანდოს“ ყოველგვარ მოლაპარაკება-გაცვლას უძღვებოდა.

გრანტ ჰილი (ბურთით)

გაბრიელმა თავის თავს პირველ რიგში გრანტ ჰილის დათრევა უნდა მიულოცოს. ჰილი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშეა. რამდენიმე წელია, მან თვით სკოტი პიპენს ჩამოართვა ლიგის საუკეთესო ფრთის არაოფიციალური წოდება. გარდა იმისა, რომ მისი სანახაობრივი თამაში ბევრ მაყურებელს იზიდავს და მისი მონაწილეობით ჩატარებულ თამაშებში ტრიბუნაზე იშვიათად რჩება თავისუფალი ადგილები, იგი მეტად სასარგებლოცაა. მას როგორც დაბალი, ასევე მაღალი კალათბურთელისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვს, დიდი რაოდენობით აგროვებს მოხსნებს, შედეგიან გადაცემებს და, რაღა თქმა უნდა, ქულებს. ბოლო სეზონი ხომ მის ექვსწლიან კარიერაში საუკეთესო იყო. მისი საშუალო შედეგიანობა ასე გამოიყურება: 25,8 ქულა (მესამე შედეგი ასოციაციაში), 6,6 მოხსნა და 5,2 პასი. ერთხელ მისი ძველი გუნდის, „დეტროიტის“ მაშინდელმა მწვრთნელმა დუგ კოლინზმა თქვა, ჰილი იმდენად სრულყოფილი კალათბურთელია, რომ მასა და ჩემპიონობას შორის მხოლოდ მაიკლ ჯორდანი დგასო. ექვსი წელი იგი „დეტროიტის“ უპირობო ლიდერი გახლდათ, მაგრამ ამ გუნდთან ერთად წარმატებისთვის არ მიუღწევია. ჩემპიონობას ვინ ჩიოდა, „დეტროიტი“ უკეთეს შემთხვევაში პლეი ოფის პირველი წრიდან ეთიშებოდა ბრძოლას. პირად მიღწევებს თუ არ ჩავთვლით, არ აეწყო ჰილს კარიერა „დეტროიტში“ და იქიდან წამოსვლაც ამიტომ გადაწყვიტა, თუმც იქაურობის დატოვება ძალიან ენანებოდა. „ვწუხვარ, რომ აქაურ ატმოსფეროს ვწყდები. აქ ყველას ვუყვარვარ და ყველა მაფასებს, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ, მაგრამ იძულებული ვარ, სხვა გუნდი მოვძებნო, რადგან მე და „პისტონზმა“ ყველა შესაძლებლობა ამოვწურეთ, შედეგი კი არ ჩანს“ — ამბობდა ჰილი ამ ორი თვის წინ. და აი, იგი „ორლანდოშია“, სადაც, როგორც თვითონ (ასევე სხვა ყველა) ფიქრობს, ჩარმატების მეტი შანსი აქვს. „დეტროიტში“ ბევრ ყინვალე ექვსი წელი გავატარე, ეს იყო თითქმის უდარდელი წლები, მაგრამ დრო მიდის და საჭიროა, მომავალზეც ვიფიქრო. „ორლანდოში“ ყველა გამარჯვებისთვისაა შემართული. ესაა პერსპექტიული გუნდი, რომელთან ერთადაც გაცილებით მეტის მიღწევის შესაძლებლობა მაქვს, ვიდრე ძველ გუნდში მქონდა“. ახლა ჰილის უმთავრესი ამოცანაა, როგორ შეეწყობა ახალ გუნდს, ან პირიქით, გუნდი როგორ შეეწყობა მას.

რაც შეეხება „ორლანდოს“ მეორე ახალწვეულს, ტრეისი მაკგრეიდის, იგი ისეთი დონის კალათბურთელი ვერ გახლავთ, როგორიც გრანტ ჰილია, მაგრამ „ჯადოებისთვის“ მაინც სოლიდური შენაძენია. ეს ნიჭიერი მოთამაშე, ისევე როგორც მისი ახალი თანაგუნდელი, ნომინალური ფრთაა და არაა გამორიცხული, ჰილის ჩრდილში მოექცეს. ეს რომ არ მოხდეს, 206-სანტიმეტრიან მაკგრეიდის ამპლუის გამოცვლა მოუწევს, რაც ალბათ ნაკლებად გაუჭირდება, ვიდრე სხვას მის ადგილზე. ექსტორონტოელს აქვს საკმარისი სიმეღლე, ფიზიკური ძალა და კარგი ნახტომი რათა თავდამსხმელის პოზიციაზე ითამაშოს, არც სისწრაფე აკლია და გაჭირვების შემთხვევაში მსროლელის როლსაც მშვენივრად ეგუება. მაკგრეიდი ჯერ მხოლოდ ოცდაერთი წლისაა და ზურგსუკან სამი რიგიანი სეზონი აქვს. იგი წლიდან წლამდე იზრდებოდა და განსაკუთრებით ბოლო სეზონში მოუმატა — მატჩში საშუალოდ 15,4 ქულას, 6,3 მოხსნას, 3,3 პასს, 1,91 დაფარებას და 1,14 ჩაჭრას აკეთებდა.

„ორლანდო“ ამ ორი მძლავრი კალათბურთელის აყვანით არ დაკმაყოფილებულა. ამ დღეებში მან თავისუფალი აგენტის სტატუსით მაკგრეიდის თანაგუნდელი „ტორონტოში“, დი ბრაუნი შეიმატა. მალე კონტრაქტს გაუფორმებს საკუთარ თავისუფალ აგენტებს — ბო აუთლოოს და ჯონ ამაეჩის.

ირაკლი ფირაფვილი



სალაღობო ოლიმპიური ისტორიები

თუ ოლიმპიური თამაშების ისტორიას გადავავლებთ თვალს და სხვადასხვა სპორტის სახეობათა წარმომადგენლების პაექრობებს გავეცნობით, ბევრ ღიმილისმომგვრელ, კურიოზულ შემთხვევას წავაწყდებით, ოღონდაც, ზოგ შემთხვევაში სიტყვა ღიმილისმომგვრელი ალბათ ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ, რადგან ათლეტისთვის სრულიადაც არ არის სასაცილო ის, რაც ჩვენ, შესაძლოა, ღიმილს გვგვრის. მაგალითად, განა სპორტსმენი ოხუნჯობის ხასიათზე დადგება, როცა მთელი ოთხი და მეტი წლის ნაჯაფს, ოფლისღვრით თითქმის უკვე მოპოვებულ ოლიმპიურ მედალს რაღაც კურიოზული შემთხვევის გამო დაკარგავს ან ის, რომ ცურვაში ოლიმპიური ჩემპიონი წყალში დახრჩობას „დააპირებს“ და სხვათა გადასარჩენი გახდება?

აქვე უნდა გავაფრთხილოთ მკითხველი, რომ ქვემოთქმული სპორტის ჭეშმარიტი გულშემატკივრისთვის სრულებითაც არ იქნება ახალი ამბავი. ჩვენს მიერ მოწოდებული ყოველი „სალაღობო“ ისტორია მრავალგზის გადაღეჭილია, მაგრამ კარსმომდგარი სიდნეის ოლიმპიური თამაშების მოლოდინში, საშობაოდ, მათი ერთხელაც გახსენება, ალბათ, ურიგო არ იქნება. ეგეც არ იყოს, ხომ არიან ახალბედა გულშემატკივრები? მაშ ასე, ოლიმპიური კურიოზები. ამ მხრივ ყველაზე მეტად 1904 წელს სენტ ლუისში გამართულმა ოლიმპიურმა თამაშებმა „ისახელა თავი“. ამიტომ მას კურიოზების ოლიმპიადაც შეარქვეს.

გალინა პროზუმენშჩიკოვა და მისი გადამრჩენი

ოინბაზი ფუნი

ფუნი იაპონელი ჭოკით მხტომელი იყო. იგი სენტ ლუისის თამაშების პირველი კურიოზის ავტორი გახდა. მისი სახელი ოლიმპიური თამაშების და საერთოდ, სპორტის ისტორიაში თავისი ოინბაზობის წყალობით შევიდა.

მაშინ, სენტ ლუისის ოლიმპიური თამაშების ფინალში რომ გასულიყო, ის და მისი მეტოქეები, სულ ცოტა, 320 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას უნდა გადავლებოდნენ. ჰოდა, ფუნიმ ეს სიმაღლე გამოტოვა და 360 სანტიმეტრი შეუკვეთა. იაპონელმა აიღო ჭოკი და დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით ასარეკნი ორმოსკენ გაეშურა. მერე ჭოკი იმ ორმოში ჩაუშვა, კარგად მოარგო, ვერტიკალურად ააყუდა და ... ზედ აცოცდა. როცა 360 სანტიმეტრ სიმაღლეს მიაღწია, თამასას გადაახტა.

ამის შემყურე მსაჯებს გაკვირვებისგან ყბა ჩამოუვარდათ, გონს რომ მოეგნენ, ფუნს აუხსნეს, რომ გამორბენით უნდა აეღო სიმაღლე. იმანაც მშვიდად მოისმინა დარიგება, მერე სტარტის ადგილზე დაბრუნდა, გამოიქცა და თან ჭოკის წვერს მიწაზე მიახორხიალებდა. როცა ჭოკის წვერი ორმოში კარგად ჩაჯდა, ფუნი კვლავ ზედ აცოცდა და გადახტა...

კაცმა რომ თქვას, ფუნის ისეთი რამ არც გაუკეთებია, რაც შეჯიბრების წესებით იკრძალებოდა, ხოლო ის, რაც აკრძალული არ არის, გამოდის, რომ ნებადართულია.

ამის შემდეგ ჭოკით მხტომელთა წესებში ასეთი რამ ჩაწერეს: „მხტომელს ეკრძალება ასპარეზობისას ჭოკზე ხელების გადანაცვლება“. ამ სახეობის კანონმდებლებმა ეტყობა, იფიქრეს, ხომ შეიძლება გამოჩნდეს ფუნივით ვინმე სხვა გონიერი, ვინც ჭოკზე ხელების გადაუნაცვლებლად, ვთქვათ ფეხებითა და კბილების ღრჭილითაც ჭოკზე აცოცდებაო. ამიტომ ადგნენ და, ყოველი შემთხვევისთვის, წესებში ჩაწერეს, მხტომელს ეკრძალება აგრეთვე ჭოკზე აცოცებაო.

1000 კილომეტრი და ჭურდები

სენტ ლუისში დიდი კურიოზები გადახდათ მარათონელებს, მაგრამ აქ მხოლოდ კუბელი ფელიქს კარვაილის ამბავს გავიხსენებთ.

კარვაილის თავგადასავალი ჯერ კიდევ მის სამშობლოში დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს იგი ჰავანის ყველაზე დიდ მოედანზე მივიდა და ტროტუარზე სირბილს მოჰყვა. ასე განმეორდა მომდევნო დღეებშიც. გამვლელ-გამომვლელნი გაოცებულნი უყურებდნენ ამ შერეკილს. ხალხი ბლომად რომ მოგროვდა, ფელიქსმა რბენა შეწყვიტა და თავისი უცნაური ქცევის მიზეზიც ახსნა. თქვა, რომ ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლაზე ვოცნებობო. თანამემამულეებს გამარჯვებასაც დაჰპირდა, ოღონდ მისთვის სენტ ლუისში გასამგზავრებელ ფულს თუ გაიმეტებდნენ.

ფელიქს მართლაც შეუგროვეს საჭირო თანხა, მაგრამ როცა გახარებულმა ახალ ორლეანში ჩააღწია, აღმოაჩინა, რომ იგი გაუძარცვათ. მასაც მეტი რა დარჩენოდა, ადგა და სენტ ლუისისკენ მიმავალ 1000-კილომეტრიან გზას ფეხით გაუყვა. მშიერ-მწყურვალმა, როგორც იქნა, ეს უშველებელი გზა უკან მოიტოვა და სენტ ლუისში ზუსტად შეჯიბრების დღეს ჩააღწია, უფრო სწორედ სტარტამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა და იქამდე თავქუდმოგლეჯილს რომ არ ერბინა, ასპარეზობის დაწყებას ვერც მიუსწრებდა.

ასე იყო თუ ისე, ფელიქს კარვაილმა თავის ოდისეა შეუსვენებლად გაგრძელა. ასპარეზობის სხვა მონაწილეებმა თუ 42 კილომეტრი და 165 მეტრი ირბინეს, ხოლო ბევრმა ამის ნახევარსაც ვერ გაუძლო, კუბელს საერთო ჯამში 1042 კილომეტრი და 195 მეტრი გამოუვიდა. მანაც ფინიშის ხაზამდე ვაჟკაცურად ირბინა და მედლისთვისაც ბოლომდე იბრძოლა. მერე რა, რომ დისტანცია მეოთხემ დაასრულა — ისტორიას მისი სახელი უფრო შემორჩა, მაგრამ ის ჭურდები რომ არა, ვინ იცის, იქნებ თანამემამულე მეცენატეებისთვის მართლაც ჩაეტანა დაპირებული ოქრო.

ბრძოლა ქანცის გაწყვეტამდე

დღეს მოჭიდავეები რომ ქანცის გაწყვეტამდე არ იბრძვიან, ეს ბავშვმაც იცის, მაგრამ შორეულ წლებში ასე არ იყო. ამ მხრივ საოცრად ხანგრძლივი და ყველაზე მომქანცველი ორთაბრძოლა ჰქონდათ 1922 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს. ერთმანეთს ლატვიელი კლეინი და ფინელი ასივაინენი ხვდებოდნენ. ისინი ქვესაშუალო წონაში კამოდიოდნენ. ერთიც და მეორეც თავდაუზოგავად იბრძოდა გამარჯვებისთვის. წუთი წუთს მისდევდა, საათი საათს, მაგრამ უპირატესობას ვერც ერთი აღწევდა. მათი ჭიდილი თანდათან ბღლარძუნში გადაიზარდა. ამასობაში დაღამდა კიდეც. ისინი კვლავ არ უთმობდნენ ერთმანეთს. ასე მიილია შეხვედრის 10 საათი. ერთიც და მეორეც ფეხზე ძლივს იდგა. ისე დალასლასებდნენ, რომ მაყურებელი ყოველ წამს ელოდა მათ დავარდნას. ბოლოს ფინელი გატყდა.

მისავათებულმა კლეინმა სრული ორი დღე და ღამე ძილში გაატარა. საბოლოოდ გამარჯვებულმა „ვერცხლი“ მოიპოვა, დამარცხებულმა — „ბრინჯაო“.

წყალში ჩაყრილი ნიჩბები და...

ლონდონის XIV ოლიმპიურ თამაშებზე, 1948 წელს, ასპარეზობდა ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონის, ამერიკელი ჯო კელის ვაჟი ჯეკი კელიც, ვინც აკადემიურ ნიჩბოსნობაში ერთადგილიანი ნავით ცდიდა ძალას. ცხადია, ფრიად გამოცდილი მამისგან მრავალ რჩევა-დარიგებასაც ისმენდა, მაგრამ ის, რაც შვილს დაემართა, ალბათ უფროს კელის აზრადაც არასოდეს მოსვლია, რომ მსგავსი რამ შესაძლებელი იყო.

ჯეკმა წინასწარ გაცურვაში, როცა ფინიშს მიაღწია, ჩათვალა, რომ ფინალური საგზური უკვე ჯიბეში მაქვს, მასთან ერთად მედალიცო და ნიჩბებს ხელი გაუშვა და წყალში ჩაყარა, აქაოდა დარჩენილ სანტიმეტრებს ინერციით დავფარავო. სწორედ ამ დროს მოულოდნელად ქარმა დაუბერა, ნავი შეაჩერა და უკანაც უბიძგა. მანამ ჯეკი გონს მოეგო და ნიჩბები მოიმარჯვა, ფინიშის ხაზი მეტოქეებმაც გადაკვეთეს.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვაჟმა, ნიჩბებთან ერთად, წყალში ასე ჩაყარა ყველაფერი.

ლამის დამხრჩვალი მოცურავეები

იმავე ოლიმპიურ თამაშებზე ქალთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონი გახდა დანიელი გრეტა ანდერსენი. მერე იგი 400 მეტრზე იმავე სახეობაშიც გამოვიდა. კვლავ თავგამოდებით იბრძოდა მეორე ოქროს მედლის მოსაპოვებლად, მაგრამ რაც ენერგია ჰქონდა, დისტანციის ნახევარს ბოლომდე შეალია და მის მეტოქეებს რომ დახმარების ხელი არ გაეწოდათ, ვინ იცის, იქნებ მოცურავეთა ოლიმპიური ჩემპიონი დამხრჩვალიყო კიდეც.

მსგავსი ისტორია გადახდა სევასტოპოლელ გალინა პროზუმენშჩიკოვას, რომელიც პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონია ცურვაში. მან ამ წარმატებას ტოკიოში მიაღწია და მომდევნო თამაშებზე იგი უკვე ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის, აგრეთვე მსოფლიოს რეკორდსმენის რანგში ასპარეზობდა. მან იმ მომდევნო თამაშებზე კიდევ ორ-ორი „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ დაიმსახურა, მაგრამ ბოლო მედალს 200 მეტრზე ლამის გადაყვა.

მაშინ, როცა ფინიშამდე ბოლო სანტიმეტრებიღა დარჩა, ძალა მთლად გამოელია, გონება დაკარგა, ის იყო აუზის ბორტს ხელით შეეხო და გულწასული ფსკერისკენ წავიდა. ამ სცენას ყველანი გაოგნებულ-დაბნეულები შეჰყურებდნენ. მერე ერთი მსაჯი გონს მოეგო, წყალში ისკუპა და უგონო გალინა ამოიყვანა, ბოლოს კი იგი ექიმების ხელში აღმოჩნდა.

დაუსრულებელი ოლიმპიადა

ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების (1952წ.) დახურვის საზეიმო ცერემონიალზე სოკ-ის პრეზიდენტი ედსტრიომი ისე გაიტაცა ლაპარაკმა, რომ ბოლოს დაავიწყდა ეთქვა, XV ოლიმპიურ თამაშებს დახურულად ვაცხადებო.

ასე რომ, ჰელსინკის ოლიმპიადა ოფიციალურად არ დახურულა.

* * *

ჩვენც გაგვიტაცა თხრობამ, მაგრამ, ვიდრე ბოლო წერტილს დავსვამდეთ, ერთს ვიტყვით — მკითხველმა ალბათ შეამჩნია, რომ კურიოზული შემთხვევები, ძირითადად, წინათ ხდებოდა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მაშინ შეჯიბრების წესები და ასპარეზობათა ორგანიზაციია გაცილებით დაუხვეწავი იყო. ძირითადად ამით აიხსნება მაშინდელი კურიოზებიც, თუმცა, ისინი კვლავაც გრძელდება და არც სიდნეის თამაშები იქნება გამონაკლისი.

კურიოზები შეკრიბა
ავთანდილ ბაყიშელმა

მიშლინ ოსტერმაიერი

ყველა ოლიმპიურ თამაშებს ჰყავს თავისი საოცარი წარმატებებით გამორჩეული სპორტსმენები, მაგრამ იმ გამორჩეულთა შორისაც არიან უფრო გამორჩეულნი, რომლებსაც გმირებად მოიხსენიებენ. 1948 წლის ლ ნდონის ოლიმპიური თამაშების ასეთი გმირი იყო ფრანგი სპორტსმენი მიშლინ ოსტერმაიერი.

მიშლინ ოსტერმაიერს იმ თამაშების ფავორიტად არავინ მოიხსენიებდა, მეტიც — მას მძლეოსნობის სპეციალისტთა ვიწრო წრეშიც კი არ იცნობდნენ. ეს გასაგებიც იყო. მას მუსიკალურ სამყაროში უფრო იცნობდნენ, ხოლო ის, რომ მიშლინ ოსტერმაიერი საფრანგეთის მძლეოსანთა ეროვნულ ნაკრებში მოხვდა, უკვე გმირობა იყო.

ოსტერმაიერი პიანისტი გახლდათ, პარიზის კონსერვატორიის პირველი პრემიის ლაურეატი. იგი საფორტეპიანო კონცერტებს მართავდა რომში, ბუენოს აირესში, სტამბოლში, ფლორენციაში, ათენში, რიო დე ჟანეიროში...

თხელი ქალი იყო, სიფრიფანა, ის კი ლონდონის ოლიმპიურ სარბიელზე გამოვიდა ისეთ „მამაკაცურ“ სახეობებში, როგორებიცაა ბადროს ტყორცნა და ბირთვის კვრა, თანაც ბადრო პირველად ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ოთხი თვით ადრე ტყორცნა.

აი, ამიტომაც იყო, რომ მას მძლეოსნობის სამყაროში არ იცნობდნენ, მაგრამ ლონდონში ოთხი თვის ნავარჯიშევმა მიშლინ ოსტერმაიერმა ბადრო ისე ტყორცნა, რომ ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა და ოლიმპიური რეკორდიც დაამყარა. ცხადია, ეს ყველამ შემთხვევითობით ახსნა. იფიქრეს, მიშლინს ეტყობა ტყორცნის განსაკუთრებული ტექნიკა აქვსო. აი, სულ სხვა საქმეა ბირთვის კვრა, სადაც უზარმაზარი ძალა და ენერგიაა საჭიროო, მაგრამ ფრანგმა პიანისტმა აქაც ყველაზე შორს ჰკრა ბირთვი და მეორე ოქროს მედალი მოიპოვა. ამის მერე სიმაღლეზე ხტომაშიც სცადა ძალა და ბრინჯაო დაიმსახურა.

ეს ყველაფერი ოლიმპიური თამაშების სენსაციად მონათლეს და მიშლინ ოსტერმაიერი ლონდონის თამაშების გმირადაც აღიარეს.

ლონდონის ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე მიშლინ ოსტერმაიერი თავის მედლებიანად საკონცერტო ტურნეზე გაემგზავრა.

ორი წლის მერე ამ ფრანგმა ევროპის ჩემპიონატზე ბირთვის კვრაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 1964 წელს კი იმავე შეჯიბრების ვერცხლის მედალოსანიც გახდა.



პატრიკ რაფტერი

ნუ ბრაზობ, სარგის, ცავატანემ!

ტორონტო. მასტერსი. ჰარდი.
საპრიზო 3 მილიონი $

ტორონტოს ტურნირის ნომერ პირველი ფავორიტის ვინაობა დადგინდა. იგი პიტ სამპარსია, რომელმაც საწყის წრეებში ძნელად მოპოვებულ გამარჯვებებს, მესამე წრეში სომეხ სარგის სარგსიანთან იოლი გასეირნება მიაყოლა და ამგვარად დაადასტურა აღრე ნათქვამი, ტურნირის მსვლელობისას ვაპირებ სრულ საბრძოლო ფორმაში ჩადგომასო.

პირველ სეტში სამპრასი ხშირად გადიოდა ბადესთან და სარგსიანს განუწყვეტლივ კორტის ერთი ნახევრიდან მეორისკენ დაარბენინებდა, ხოლო როცა მეორე სეტის პირველი ქულაც ამგვარი ხერხით მოიპოვა, სომეხს ნერვებმა უმტყუნა და ჩოგანი ისე გატყორცნა, ბურთი ვერ იფრენდა იმგვარი სიჩქარით. ანგარიში მდგომარეობის შესაფერისი დაფიქსირდა: სამპრასმა 6:1, 6:2 მოიგო და პრესკონფერენციაზე განაცხადა, ახლა ყველაფერი თავის ადგილზეაო. მისი მომდევნო მეტოქე რუსი მარატ საფინია. იმასაც თუ მოუგო და, იქით კიდევ ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმა ჩეხი ირჟი ნოვაკის წინააღმდეგობა დაძლია, შესაძლოა, ტორონტოში ბადის სხვადასხვა მხარეს წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტები ვიხილოთ. აქამდე რაფტერიც რიგიანად ირჯებოდა, მესამე წრეში კანადელ სებასტიან ლერუს 6:4, 6:2 მოუგო. ფრანგმა სებასტიან გროსჟანმაც ებრაელ ჰარელ ლევისთან წააგო, ანუ ის სებასტიანები, რომელთაც გუშინდელ „სარბიელში" საჩოგბურთო მიმოხილვის სათაური ვუძღვენით, დღეს უკვე „აღარ არიან".

სარგის სარგსიანის გარდა გუშინ მარსელო რიოსმაც გამოიყენა ჩოგანი არამიზნობრივად, ოღონდ თუ სომეხმა ეს ერთხელ გააკეთა, ჩილელმა — მრავალჯერ. აშარმა რიოსმა ფრანგ ჟერომ გოლმარს პირველი სეტი უდრტვინველად მოუგო, მერე კი ფრანგმა ბადესთან გასვლებს მოუხშირა და ამ რისკიანი ტაქტიკის მეოხებით ინიციატივას მყარად დაეუფლა. რიოსს ნერვიულობა დაეტყო, საკუთარ თავს გინება დაუწყო, ხოლო ჩოგანი ბარე ათჯერ გაწირა მიწაზე დასათხლეშად. უდროო ემოციებით გაკეთებული საქმე ვის უნახავს, ამიტომ რიოსმა წააგო — 2:6, 7:5, 7:5 და როცა ფრანგის მატჩ-პოინტზე ბურთი ბადეში გაახვია, დაღვრემილმა დაუწყო ჭვრეტა გოლმარს, რომელიც ზურგზე ექსტრავაგანტურად დაეცა და ხელები ცისკენ აღაპყრო, რაც ღვთის სამადლობელი თუ იყო...

მესამე წრე. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) — 6:1, 4:6, 6:4; ირჟი ნოვაკი — ტომას ენკვისტი (შვედეთი) — 6:2, 1:6, 3:1 (ტრავმა); მარატ საფინი (რუსეთი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — 3:2 (ტრავმა); უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — 7:5, 7:6 (7:4); ჰარელ ლევი (ისრაელი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:3.

ეოვიგე?! ჰინგისის დამარცხებამ ფრეზერი გაოცარია

კარლსბადი, კლიფორნია. „აკურა კლასიკი".
საპრიზო 535 ათასი $

ვინუს უილიამსი ახლა ისეთივე ფავორიტია კარლსბადის ტურნირზე, როგორიც პიტ სამპრასი ტორონტოში. მისი გამარჯვებისკენ სავალი გზა სხვა ფავორიტებისგან უკვე განიწმინდა: ლინდსი დევენპორტი ანა კურნიკოვამ გამოაგდო (ამაზე უკვე გაუწყეთ), გუშინ კი მარტინა ჰინგისიც დაემშვიდობა ასპარეზობას. მას წესი ამერიკელმა ემი ფრეზერმა აუგო, რომლის ათწლიან კარიერაში გუშინდელი გამარჯვება უმთავრესი იყო. საათზე ოდნავ მეტ დროში შეხვედრის საბოლოო ანგარიში ასეთია — 6:3, 6:3. „ცხოვრებაში მარტინასთვის სეტიც არ მომიგია, ამიტომ ბედნიერებისგან გადარეული ვარ" — თქვა ფრეზერმა გამარჯვებიდან ცოტა ხანში, ხოლო ჰინგისმა აღიარა, რომ თავისი თითქმის ყველა ტაქტიკური ხრიკი გამოიყენა და ფრეზერისგან ყველაფერზე პასუხი მიიღო. ეს ამბავი მეოთხედფინალში მოხდა და იმავე ეტაპზე უილიამსმა მეხუთედ განთესილი კონჩიტა მარტინესი სულ რაღაც 51 წუთში დაამარცხა — 6:3, 6:0; ნახევარფინალში უილიამსი ფრეზერთან ითამაშებს. ზედიზედ 13 გამარჯვების შემდეგ ნახევარფინალშიც ფავორიტად შავი ვენერა უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ კარლსბადში ფრეზერმა სენსაცია გამოაცხო.

მეორე წრე. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — 6:1, 6:2; სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) — 6:2, 6:3.

დავით გულუა

მარტინა ჰინგისი

ემი ფრეზერი

უბინძურესი: ტაისონ-გოლოტა
კაცური: ლუის-ტუა



ლუ სავარეზესთან ჩხუბში მაიკ ტაისონს მეტოქესთან ერთად რეფერიც შემოელახა

გამოცხადდა, რომ შემოდგომაზე მაიკ ტაისონი კარგახნის წინ ამერიკაში დაფუძნებულ პოლონელს ანჟეი (ენდრიუ) გოლოტას შეებრძოლება.

გამოცხადდა და ატყდა ხმაური, რომ კრივის მოყვარულთ წინ უძევთ განუმეორებელი სანახაობა — ათწლეულის უბინძურესი შერკინება.

ჰოლიფილდის ყური, ბოთას მკლავი, პრო-მოჭიდავეთა შეჯიბრებაში მონაწილეობა — ჟურნალად ჩანს იმასთან შედარებით, რაც შეიძლება იკისროს ტაისონმა გოლოტასთან ბრძოლაში. 32 წლის პოლონელი კი თავის მხრივ ცნობილია მეტოქის მწვრთნელთა ცემით, წელსქვემოთა დარტყმებით (ამის გამო ორჯერ ჩაეთვალა წაგება რიდიკ ბოუსთან), თავის ძგერებით, იდაყვების მორტყმით და ა. შ.

გოლოტას ყოფილი მწვრთნელი ალ სერტო ახუმრობს, რომ ტაისონ-გოლოტას შეხვედრაში რეფერი საჭირო არ იქნება, რადგან ის მაინც ვერაფერს გახდება.

ჩხუბი 4 ნოემბერს გაიმართება ჰონ კონგში. გოლოტას ათ მილიონ დოლარზე ცოტა მეტს პირდებიან. ტაისონს — ორჯერ მეტს.

ბევრად უფრო სერიოზულ წყვილს შორის კი მოლაპარაკებები დაიწყო. ბრიტ მსოფლიოს ჩემპიონ ლენოქს ლუისს ამავე შემოდგომით ფედერაციის (იბფ) პრეტენდეტ, სამოელ დევიდ ტუასთან უწევს შეხვედრა. ტუამ იცის, რომ წინა პრეტენდენტმა, ლუისისგან წახდენილმა მაიკლ გრანტმა მილიონი დოლარიც ვერ აიღო საჩემპიონო ბრძოლაში. სამოელი ჯიუტად ითხოვს ჰრომოუტერთაგან ხუთ მილიონ დოლარს. არა და, თავში ქვა გიხლიათო.

ლუისი კი დიდსულოვნად აცხადებს: „ყველაფერს გავაკეთებ, რომ დევიდმა კარიერაში უდიდესი გასამრჯელო მიიღოს. რინგზე ასვლამდე ჩაუთვლიან ორმილიონნახევარ გირვანქას. დამირეკოს, თავდები ვიქნები."

ალბერტ ხაჩატურიშვილი

მთამსვლელობა

რვაათასიანების პირველი აზიელი კოლექციონერი

ჩოგორი

ახლა ჰიმალაის მთებში და საერთოდ რვაათასიან მწვერვალებზე მთამსვლური სეზონი არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კორიელმა უმ ხონ გილმა მაინც გაბედა და ყარაყორომის მთებში მდებარე ბუმბერაზ K-2, იგივე ჩოგორის პიკს (8 611) შეუტია და მიზანსაც მიაღწია. მან ბოლო ბანაკიდან, რომელიც 8 000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობდა, მწვერვალზე ასვლას 6 საათი და 15 წუთი მოანდომა და საბაზოშიც მშვიდობით დაბრუნდა. ამ წარმატებით უმ ხონ გილი აზიელთაგან გახდა პირველი, ვინც მსოფლიოს თოთხმეტივე რვაათასიანი მწვერვალიდან გადმოიხედა. მისი პირველი ასეთი მწვერვალი იყო დედამიწის უმაღლესი პიკი ევერესტი, რომელზეც 12 წლის წინათ ავიდა, ხოლო ამ კოლექციის შეგროვებას წერტილი მსოფლიოს სიმაღლით მეორე მწვერვალით დაუსვა.

42 წლის უმ ხონ გილი გახლავთ სამხრეთ კორეის მთამსვლელთა ექსპედიციის შეთაური. ამასთან იგი არის სეულის უცხო ენათა ინსტიტუტის პრეზიდენტიც.

შეგახსენებთ, რომ მთელ მსოფლიოში უმ ხონ გილამდე იყო სულ 7 მთამსვლელი, რომლებმაც თოთხმეტივე რვაათასიანი დალაშქრეს. ესენი არიან: იტალიელი რაინჰოლდ მესნერი, პოლონელი ეჟი კუკოჩკა, შვეიცარიელი ერჰარდ ლორენტანი, მექსიკელი კარლოს კარსოლიო, პოლონელი კრიზტოფ ვიელისკი, ესპანელი ჟან ოირზაბალი და იტალიელი სერჯიო მარტინი, რომლებმაც ამავე თანმიმდევრობით დააგვირგვინეს ამგვარ რვაათასიანებზე ასვლები.

იმასაც შეგახსენებთ, რომ სერჯიო მარტინიმ რვაათასიანების კოლექცია შარშან შეკრიბა, როცა ეს 51 წლის კაცი ევერესტზე ქართველ მთამსვლელებთან: ირაკლი ციხისელთან, მერაბ ხაბაზთან და ირაკლი უგულავასთან ერთად ავიდა. თუმცა იტალიელს თავის კოლექციაში ჰქონდა ერთი საეჭვო ასვლა ლჰოცზეზე, სადაც მისი ასვლა ზოგიერთს არც სჯეროდა. ეს იტალიელი წლეულს მეორედ ავიდა ლჰოცზეზე და საეჭვოც აღარაფერი დარჩა.

ავთანდილ ბყვიშელი

არ გაპარდეს! ავსტრალიელთა ტაქტიკა: ლომუ არ უნდა გაიქცეს

ველინგტონი. 5 აგვისტო

ახალი ზელანდია — ავსტრალია

დღეს „სამი ერის პირველობის“ უმთავრესი მატჩია: ველინგტონის „უესტპეკ ტრასტ სტედიუმზე“ ახალი ზელანდია ავსტრალიას მასპინძლობს. წლეულს საქმე ისე აეწყო, სამხრეთაფრიკელი „ჭურიკები“ პლანეტის ქვედა ნახევარსფეროს უძლიერესი სარაგბო ერის გამოსავლენ დავაში ჩამრევები პრაქტიკულად აღარ არიან და, მართალია, ორ საშინაო მატჩში ისინი თუნდაც პრესტიჟისთვის თავს არ დაზოგავენ, დედამიწის სამხრეთ ნაწილის ჩემპიონი მაინც იმ წყვილში უნდა ვეძიოთ, ერთმანეთს ველინგტონში რომ დაეჯახება. უმთავრესი თამაშიო, ვთქვით და ნაწილობრივ ასეცაა, დღევანდელ გამარჯვებულს საბოლოო წარმატების მოზრდილი იმედი ექნება, ახალ ზელანდიას მაინც, მაგრამ, რაგბიში კარგად დამკვიდრებული პრემიალური ქულების წყალობით, აფრიკის კონტინენტზე გასამართ თამაშებსაც გარკვეული ინტრიგა ემატება და აი, არსებული ვითარებაც:

ზელანდიას 9 ქულა აქვს, ავსტრალიას 6 და აფრიკას არცერთი. „შავების“ 2 გამარჯვების მიუხედავად, „ვოლაბებმა“ მათზე ერთით მეტი პრემიალური ქულა მოიპოვეს, ოთხი ლელო გაუტანეს მეტოქეს საშინაო თამაშში და თუმცა წააგეს, 7 ქულაზე მეტით არ ჩამორჩნენ. იმ მატჩში სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე, 109 874 მაყურებლის თვალწინ დრამა გათამაშდა. ავსტრალიელთა ნოკდაუნი — 0:24, მერე გონსმოსვლა და მეტოქის სალელოე მოედნის გახელებული შტურმი — 24:24, კიდევ დიდი ჯაჯგური და ბოლოს ჯონა ლომუს მიერ ცეკვა-ცეკვით დადებული ლელო, რომელმაც სტუმრების საბოლოო გამარჯვება გამოჭედა — 39:35. მაშინ „ვოლაბებს“, როგორც აღვნიშნეთ, ორი პრემიალური ქულა ერგოთ და მატჩ-რევანშში ამის ნაყოფიერად გამოყენება შეუძლიათ: საკმარისია უბრალოდ პრემიალურის გარეშე გაიმარჯვონ და მეტოქეს გაუსწრებენ (ოლონდ შვიდ ქულაზე მეტით უნდა მოიგონ). თუ საკმაოდ სახიფათო მსჯელობას განვაგრძობთ და სამხრეთ აფრიკას წლეულს ჩამოვწერთ (ანუ ჩავთვლით, რომ მას „შავებიც“ და „ვოლაბებიც“ მოუგებენ), ამ შემთხვევაში ჩემპიონი სწორედ ავსტრალია გახდება.

თუ ხვალ ახალმა ზელანდიამ მოიგო, სასაუბროც ფაქტობრივად არაფერია, ძნელად რომ მერე „შავებმა“ ჩემპიონობა ხელიდან გაუშვან, თუმცა წინასწარ რაიმეს თქმა მაინც უმართებულოა და იმავე სამხრეთ აფრიკის იოლად ჩამოწერაც არ ეგების. ჯობს, ჩროგნოზებს მოვეშვათ და მეტოქეთა ბანაკები მოვიხილოთ.

ორივე ნაკრებში ერთი მთავარი აზრი მეფობს: თამაშის ბედს დაცვაში კარგი გარჯა გადაწყვეტს. სიდნეიში ათი ლელოს გასვლის შემდეგ ორივე მხარემ უწყის, რომ მეტოქის თავდასხმის შეჩერება პირველხარისხოვანი ამოცანაა და აკი ამიტომაც ვერ იძლევა ენდრიუ მერთენსი უხვლელოიაი თამაშის გარანტიას. „ოლ ბლეექსის“ დამცველის თქმით, გუნდმა „ბანური“ თავდაცვითი კედლების აღმართვას შეეცდებიან, რაც თამაშის გარეგნულ მხარეს დაღს დაასვამს. ასევე გუნდური ბრძოლის უზენაესობა აღიარა „ვოლაბთა“ მწვრთნელმა, როდ მაკკუინმა, რადგან მის ბიჭებს თუნდაც ლომუსთან ინდივიდუალურად გამკლავება ძლიერ გაუჭირდებათ, ამიტომაც, თამაში ისე უნდა აეწყოსო, დასკვნა მაკკუინმა, რომ ლომუმ და მისთანებმა სიჩქარის აკრეფა ვერც ერთხელ მოახერხონო.

ავსტრალიის ნაკრები იმავე შემადგენლობით ითამაშებს, რომელმაც გასულ კვირას სამხრეთ აფრიკას 26:6 მოუგო. გამარჯვებულთა გამოცვლა ცუდი ტონია და მართალია, არც ზელანდიელთა მწვრთნელს, უეინ სმიტს უნდა ჰქონდეს თავის ბიჭებთან ბევრი სამდურავი, ორი ცვლილება მან მაინც განახორციელა: ალამ იერმაია მარკ რობინსონის ნაცვლად დაცვაში ჩადგება, ხოლო ნორმ მაკკუელი ტროი ფლეველის ადგილას მეორე რიგშია გამწესებული. ფლეველი სათადარიგოში გადაიყვანეს. სმიტი კი შეფიქრიანებული ჩანს, მან ავსტრალიელთა ძალა კარგად უწყის და ისიც, რომ „ვოლაბების“ ერთ-ერთი ნიშანდობლივი მახასიათებელი ხშირი ტაქტიკური ნოვაციებია. „მე მათგან მოულოდნელობებს ველი — განაცხადა სმიტმა პრესკონფერენციაზე — ისინი ჭკვიანები არიან და მწვრთნელის დარიგებებს კარგად ასრულებენ“. „შავების“ მწვრთნელსაც თავისი ტაქტიკური ჩანაფიქრი ექნება და თუ როგორი, ეს დღეს გამოჩნდება, ველინგტონის ცენტრში, 37 ათასი კაცის თანდასწრებით, რაც სიდნეურ მატჩში შეკრებილებზე სამჯერ ნაკლებია, მაგრამ თავისი გუნდის სასარგებლოდ ალბათ არანაკლებს იშრომებს.

დავით გულუა

ავსტრალიელები, რა თქმა უნდა, ჯონა ლომუს უფრთხიან

საკარაუდო შემადგენლობები:

ახალი ზელანდია: ჯალენი, უმაგა, იერემაია, ალატინი, ლომუ, მერთენსი, მარშალი, კრიბი, კრონფელდი, რენდელი, მაკსუელი, ბლეკჯდერი (კაპიტანი), მეუვსი, ოლივერი, ჰოიფტი.

სათადარიგონი: მაკდონალდი, ბრაუნი, კელეჰერი, თორნი, ფლეველი, დაუდი, ჰემიტი.

ავსტრალია: ლეითემი, მორტლოკი, ჰერბერტი, ლიტლი, როფი, ლარკემი, გრეგანი, უილიამსი, უილსონი, კონორსი, ილსი (კაპიტანი), გიფინი, დისონი, ფოლი, ჰარი.

სათადარიგონი: ტიუნი, კეიფერი, კორდინგლი, კეფუ, კოკბეინი, ჰანოჰო, ჰოლი.

მარიონ ჯონსი: გაფრენა არის ასე ადვილი...

კანადელი დონოვან ბეილი ბოლო ხანების ჩავარდნათა და „სტოკჰოლმის გრან პრიზე“ მიღებული მცირე ტრავმის მიუხედავად, სიდნეის ოლიმპიადაზე გამოსვლას უეჭველად აპირებს. „ჩემს კარიერაში უარესიც ყოფილა — აცხადებს ბეილი — დარწმუნებული ვარ, სექტემბრისთვის ყველაფერი მოგვარდება. სიდნეიში ღირსეულად ვირბენ“. ბეილის ტრავმა საშიში არ ჩანს, ექიმთა დასკვნით, იგი რამდენიმე დღეში მოშუშდება.

* * *

ხავიერ სოტომაიორის საქმე ამოიწურა, მას დისკვალიფიკაცია გაუნახევრეს და 31 ივლისის შემდეგ ნებისმიერ სამძლეოსნო შეჯიბრში გამოსვლა შეუძლია. როგორც სამხრეთფრანგული მონტობანის საერთაშორისო ტურნირის მესვეურებმა განაცხადეს, სოტომაიორის დებიუტი სწორედ მათთან შედგება 15 აგვისტოს. სოტომაიორი საერთოდაც ოლიმპიადის დაწყებამდე კუბის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად სამხრეთ საფრანგეთში დარჩენას აპირებს, ხოლო მისი საქმის ოფიციალურად დახურვის მიუხედავად, ლაპარაკი არ შეწყვეტილა — მძლეოსნობის მომხრეები თავიანთი კაცის მთლიანად გამართლებას ცდილობენ, ამ დროს კი მნიშვნელოვანმა პერსონამ, მძლეოსნის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, შვედმა არნე ლიუნგკვისტმა შემდეგი განაცხადა: „უტყუარად ვიცით, რომ სოტომაიორი დისკვალიფიკაციის შემდეგ კიდევ ერთხელ კიდევ გაეკარა კოკაინს, ან იქნებ ორჯერაც“. ამ ფაქტს თურმე ტესტების შედეგები ადასტურებს, თუმცა სოტომაიორი, ცხადია, შვედს არასოდეს დაემწეშება.

* * *

მარიონ ჯონსი სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდს უმიზნებს. მისი გუშინდელი განცხადების თანახმად, მძლეოსანს რეკორდის დამხობა ახლანდელი მწვრთნელის, ტრევორ გრემის ხელმძღვანელობითაც ხელეწიფება, თუმცა ჯონსს ხშირად ურჩევენ, სიგრძეზე ხტომის მწვრთნელი გაიჩინე, ფრენის ტექნიკას რიგიანად ვერ ფლობო. „არა მგონია, სპეციალისტი მჭირდებოდეს — თქვა ჯონსმა „ლონდონის გრან პრიზე“ გამოსვლის წინადღეს, ანუ გუშინ — როცა 2 წლის წინ 7,32 მეტრზე გადავხტი, ჩემი ტექნიკა უფრო დაბალი დონისა იყო და გრემმა მისი ამაღლებისთვის დიდი შრომა გასწია. ახლა უკეთ ვიცი, როგორ უნდა გადავხტე ხოლმე და რეკორდს ნელ-ნელა მივუახლოვდები“. სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს მიღწევა კარგა ხნიერია, იგი საბჭოთა მძლეოსან გალინა ჩისტიაკოვას 1988 წლიდან ეკუთვნის და 7 მეტრი და 52 სანტიმეტრია.

ჯონსი ლონდონში 100-მეტრიან დისტანციას ინგერ მილერის გვერდით ირბენს. მილერი მისი მთავარი კონკურენტია.

* * *

მორის გრინმა ამერიკულ „ტრაიელსზე“ მიღებული ბარძაყის მსუბუქი ტრავმა სრულებით მოირჩინა და დღეს „ლონდონის გრან პრიზე“ სირბილს აპირებს, მაიკლ ჯონსონი კი მომავალ პარასკევს ციურიხის ტურნირზეც ვერ გამოვა. მისი ბარძაყის მკურნალობა გრინისაზე მეტ დროს მოითხოვს და ახლო ხანებში რბენას იქნებ ახალი, უფრო მძიმე ტრავმა გამოიწვიოს. ჯონსონის პრესმდივანმა ჰატერ ნოვიკისმა მასმედიას კოლორადოს შტატის ქალაქ ბულდერიდან არც ის დაუმალა, რომ მცირე მაგრამ მაინც შანსი არსებობს, ჯონსონმა ველარც აგვისტო-სექტემბრის გასაყარზე დაგეგმილ ტურნირებზე ირბინოს: 25 აგვისტოს ბრიუსელში, 1 სექტემბერს ბერლინში და 3 სექტემბერს კი იტალიურ რიეტიში. ბარძაყის გარდა, ჯონსონი თურმე აქილევსის მყესსაც იტკივებს და არც ერთი ორგანო ჯერჯერობით ბოლომდე არ განკურნებულა, თუმცა პროგრესი ორივეგან აშკარად შეინიშნება.

ჯონსონს ციურიხში 400-მეტრიან დისტანციაზე უნდა ერბინა.

დავით გულუა

მარიონ ჯონსი სიგრძეზე ხტომაშიც ოლიმპიური ოქროს მოპოვებას აპირებს

გია ივანიშვილი

გია ივანიშვილი კანადელ ბავშვებს ქართულად ზრდის

— გია, ჯერ თქვენს შესახებ გვიამბეთ.

— 30 წლის წინ დავიბადე ყვარელში და იქვე გავიზარდე. ჭიდაობაც იქ დავიწყე, მერე კი თბილისში გავაგრძელე ვარჯიში, როცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე. 1987 წელს ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გავხდი, 1990-ში — მსოფლიოსი. 1993 წელს კანადაში წავედი. ვცხოვრობ დასავლეთ კანადაში, ბრიტიშ-კოლუმბიის პროვინციის ქალაქ ნანაიმაში და უკვე სამი წელიწადია, მწვრთნელად ვმუშაობ.

— მთელი ოჯახი წახვედით კანადაში თუ მხოლოდ თქვენ?

— იქ მხოლოდ მე და ჩემი ძმა ვართ. მშობლები, ნათესავები — ყველანი აქ არიან.

— ხშირად ჩამოდიხართ საქართველოში?

— არა, ახლა პირველად ჩამოვედი. იქ ძალიან ბევრს ვმუშაობ და აქამდე ჩამოსვლა ვერ მოვახერხე. ახლაც მთელ დროს გუნდთან ერთად ვატარებ. ყვარელშიც მხოლოდ ორიოდ საათით ჩავირბინე, 10 აგვისტოს ნაკრები უკან გაბრუნდება, მე კიდევ ერთი თვე დავრჩები და ნამდვილი სტუმრობაც მერე დამეწყება.

— შვიდწლიანი განშორების მერე რა აღმოაჩინეთ, ყველაზე მეტად რა მოგნატრებიათ?

— მშობლები, ახლობლები, ნათესავები, თბილისი... აქაური სითბო, კიდევ — კერძები, გემრიელი ქართული კერძები. ერთი სიტყვით, მთლიანად საქართველო და ყველაფერი ქართული.

— კანადაში მცხოვრებ გია სისაურთან ან სხვა ქართველებთან ურთიერთობა გაქვთ?

— გია სისაურს ხშირად ველაპარაკები ტელეფონით. ის აღმოსავლეთ კანადაში, ჩემგან ძალიან შორს, მონრეალში ცხოვრობს. სხვა ქართველებს კი ვერ ვხვდები.

— კანადა — სხვა გარემო, სხვა ხალხი, სხვა მენტალიტეტი. გაგიჭირდათ შეგუება?

— ეს ერთ-ერთი ურთულესი ეტაპი იყო ჩემს ცხოვრებაში. იქ სულ სხვანაირი წესებია და თავიდან ძალიანაც გამიძნელდა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერს შევეჩვიე, თუმცა იმას არ ვამბობ, კანადელი ვარ-მეთქი. ჩემთვის ქართველობის, ჩვენი ადათ-წესების შენარჩუნება მთავარია.

— კანადაში ჩასულმა ჭიდაობას თავი დაანებეთ თუ ისევ გაარძელეთ ვარჯიში?

— ვვარჯიშობდი, მაგრამ ოთხი წელიწადი, სანამ მოქალაქეობას მივიღებდი ოფიციალურ ტურნირებში ვერ გამოვდიოდი. როცა მოქალაქე გავხდი, მერე კანადის ჩემპიონატიც მოვიგე, მაგრამ მალე მწვრთნელობა დავიწყე და სპორტსმენობას შევეშვი.

— თბილისში ჩამოყვანილი ბავშვები რომელიმე კლუბის წევრები არიან?

— ეს არის ჩვენი პროვინციის ნაკრები, ისინი წლეულს კანადის ჩემპიონები გახდნენ, წამოგვყვა ერთი ამერიკელიც. მას ძალიან უნდოდა საქართველოში ჩამოსვლა.

— თქვენი სტუმრობის იდეა ვისგან და როგორ წარმოიშვა?

— ჩვენი პროვინცია ყოველწლიურად აგზავნის ამ ასაკის ნაკრებს უცხოეთში, ძირითადად შეერთებულ შტატებში. საქართველოში მათი ჩამოყვანა მე მოვიფიქრე. კანადის ჭიდაობის ფედერაციაში კარგად მიცნობენ და როცა ეს აზრი მათ გავუზიარე, უყოყმანოდ დამთანხმდნენ. ამის მერე დავუკავშირდი აქაურ ფედერაციას, ჩემს ნაცნობ მწვრთნელებს და კიდეც შევთანხმდით. სამწუხაროდ, მოსამზადებლად დიდი დრო არ მქონდა, ამიტომ მხოლოდ 12 სპორტსმენი წამოვიყვანეთ. ბავშვები ისე კმაყოფილნი არიან, გაისად ალბათ, დიდი გუნდით გესტუმრებით.

მეხუთე დღეა ქართველ თანატოლებთან ერთობლივ ვარჯიშებს ატარებენ კანადელი მოჭიდავე ბავშვები. მათი ჩამოყვანის მოთავე ამჟამად კანადის მოქალაქე გია ივანიშვილია, რომელიც ხანგრძლივი განშორების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. დიდი ამბავი იყო პატარა კანადელებისთვის, გუშინ ოლიმპიური ჩემპიონის, საქართველოს ჭიდაობის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტ დავით გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიში. ისინი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ჩვენი სახელოვანი ფალავნის მიერ ნაჩვენებ ილეთებს და ცდილობდნენ, არაფერი გამოპარვოდათ. დელეგაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყოველივეს საგულდაგულოდ იწერდა ვიდეოფირზე. მართალია, ენობრივი ბარიერი ხელს უშლიდათ, მაგრამ სტუმარ-მასპინძელნი საკმაოდ გაუშინაურდნენ ერთმანეთს. ამის დასტურად გუშინდელი ვარჯიშის მერე მომხდარიც გამოდგება — აზიური წარმოშობის შავტუხა ბიჭუნამ ერთ-ერთ მასპინძელს საკუთარი ფოტოაპარატი შეაჩერა, თვითონ ქართველებში გაერია და ანიშნა, სურათი გადაგვიღო, თუმცა ჩვენს პატარა სტუმრებს ყველაზე მეტად გობეჯიშვილთან ერთად სამახსოვრო ფოტოზე ალბეჭდვა სურდათ. საკმაოდ მხიარული და ხალისიანი ბავშვები ჩანდნენ, თუმცა ჩვენ, ცხადია, გია ივანიშვილთან სასაუბროდ უფრო გაგვიწია გულმა.



ვურაბ დოლიძეგაბაშვილის ფოტო

კანადელი სტუმრები დავით გობეჯიშვილმაც (მარცხნივ) ავარჯიშა

— ესე იგი, ქართულ მხარესთან თანამშრომლობა სამომავლოდაც გაგრძელდება?

— აუცილებლად და ორმხრივიც გახდება. გვინდა, ნოემბერში ოლიმპიადიდან დაბრუნებული თქვენი გუნდი ჩვენს საერთაშორისო ტურნირშიც მივიწვიოთ.

— თქვენი ჩამოსვლა ვინ დააფინანსა, აქ სასტუმროში ცხოვრობთ თუ ოჯახებში?

— არა, სასტუმრო „მესაზღვრეში". ბავშვები საკუთარი ხარჯით წამოვიდნენ.

— სპორტსმენთა მიგრაცია საქართველოში ჩვეულებრივი ამბავია, რამაც ამ ბოლო დროს მოჭიდავეებშიც მოიკიდა ფეხი, თქვენც ხომ არ აპირებთ აქაური მოზარდების წაყვანას კანადურ კლუბებში?

— ამაზე ნამდვილად ვფიქრობ, მაგრამ მანამდე შეიძლება აქ ჩემი ერთი მოსწავლე დაკტოვო ერთი წლით. საამისო სურვილი თავად გამოთქვა. თქვენთან ისეთი პირობებია, ნამდვილად მოუმატებს. მინდა, ორი აქაური ბავშვიც წავიყვანო კანადაში ასევე ერთი წლით. იქაური ფედერაციის ხელმძღვანელებს უკვე დავურეკე და ახლა ისინი ბჭობენ ამაზე.

— თქვენი საუბრიდან დავასკვენი, რომ კანადაში ქართულ ჭიდაობას აფასებენ.

— დიახ, ამაში დიდი როლი ითამაშა გია სისაურმა, რომელმაც ატლანტის ოლიმპიადაზე მეორე ადგილი დაიკავა. ქართველებს იმითაც იცნობენ, რომ, როცა შარშან დანიელ იგალმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, (ის კანადელთა მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონია), ნახევარფინალში, სკანდალურ შეხვედრაში ემზარ ბედინეიშვილს მოუგო. ჩემი აზრით, მაშინ მსაჯებმა ემზარი მართლაც დაჩაგრეს.

ქართული საჭიდაო სკოლა გაცილებით მაღლა დგას კანადურზე. იქ ძირითადად მოსწავლეები და სტუდენტები ვარჯიშობენ, ისიც იმიტომ, რომ თუ წარმატებას მიაღწევენ, ფედერაცია სწავლის ქირას უხდის. ამ მხრივ იგალი და სისაური გამონაკლისები არიან. თუმცა დანიელი სტუდენტია, გია კი ბიზნესშიცაა ჩართული. ის ახლა გამალებით ემზადება ოლიმპიადისთვის. კანადელები მას დიდ პატივს სცემენ და მეტსახელად „ოქროს ბიჭს" ეძახიან.

— ზემოთ თქვით, კანადის ჭიდაობის ფედერაციაში კარგად მიცნობენო. ფედერაციაში ან ნაკრებშიც ხომ არ საქმიანობთ?

— ნაკრებს ვეხმარები. ყველა მწვრთნელთან და ფედერაციის ხელმძღვანელებთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ვწვრთნი ერთი რეგიონის ნაკრებს, რომლის ვარჯიშებშიც ბევრი რამ შევცვალე. ამან იქაური ჭიდაობის დონე აამაღლა.

— აქაურ ფედერაციასაც ხომ არ დაეხმარებით...

— დღეს ქართველ მოჭიდავეებს მაისური გადავეცი, ჩამოვიტანე რამდენიმე საჭიდაო ფორმა. დღეისათვის მეტი ვერ მოვახერხე, მომავალში კი მეტს ვპირდებით.

ირაკლი თავაძე

ნაკრები საქართველოსავით

ცოტანიც არიან, ღარიბნიც არიან... მაგრეებიც არიან

ვურაბ დოლიძეგაბაშვილის ფოტო

გრიგოლ მაზიაშვილმა (შავი ქუდით) და მისმა თანაგუნდელებმა გერმანიაში თამაშის უფლება თბილისში მოიპოვეს

გუშინ საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულ ნაკრები გერმანულ ლუნენში გაემგზავრა, თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში სათამაშოდ. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა წყალბურთელებმა მაისის დასაწყისში თბილისში ჩატარებულ შესარჩევ მატჩებში ლიტველები და რუმინელები დაამარცხეს და კარპატელებთან ერთად კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე გამოსვლა გაინაღდეს.

გერმანიაში 16 გუნდი ითამაშებს, რომლებიც ოთხ ოთხგუნდიან ჯგუფებში განაწილდნენ. შეიძლება ითქვას, ბედმა ჩვენს ნაკრებს არ გაულიმა და უძლიერეს ჯგუფში მოახვედრა. თავად განსაჯეთ, დღეს ჩვენებურები იუგოსლავიელებს ეთამაშებიან, ხვალ — გენმარელებს, ზეგ კი ფრანგებს. ბალკანელთა წყალბურთის მაღალი დონე ყველას კარგად მოგეხსენებათ და ამაზე ბევრს აღარ ვილაპარაკებთ. იგივე ითქმის ფრანგებზეც, ამას დავუმატოთ ისიც, რომ მათ ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ხელმძღვანელობაში სოლიდური წარმომადგენლობა ჰყავთ, გერმანია კი მასპინძელია და...

ჯგუფიდან ორი გუნდი გადის და საეჭვოა, ჩვენები მათ შორის ვიხილოთ. აქ საქმე მხოლოდ მეტოქის სიძლიერეში როდია. შესარჩევი თამაშების მერე ნაკრებს ერთი ამხანაგური შეხვედრაც არ გაუმართავს და არც შეკრება გაუვლია. დანაკლისის შესავსებად დღეში რამდენჯერმე კი ვარჯიშობდნენ, მაგრამ წინსვლისთვის მხოლოდ ეს რომ არ კმარა, თავადაც კარგად უწყიან. თუმცა მწვრთნელებმა დაგვაიმედეს, უბრძოლველად არავის არაფერს დავუთმობთო.

მწვრთნელ სოსო მაისურაძის თქმით გუნდის ბირთვი უცვლელია. ეგაა მხოლოდ, უფულობის გამო 15-ის ნაცვლად გერმანიაში 11 სპორტსმენი იახლა.

ჯგუფების მოწინავე 2-2 გუნდი მიმდევნო ეტაპზე გადის და პირველიმერვე ადგილებისთვის გაავრძელებენ ბრძოლას, მაჩანჩალები კი მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის იპაექრებენ.

ირაკლი თავაძე

ზურაბ აზმაიფარაშვილი მოულოდნელად მოინათლა

იტალიურ მონტეკატინი ტერმეში დასრულებული მე-17 კატეგორიის ტურნირის ბოლო ტურის შესახებ ჯერჯერობით მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია, მაგრამ რაც მთავარია, შედეგი ვიცით. დასკვნით, მე-7 ტურში ზურაბ აზმაიფარაშვილმა შავებით რუს ვადიმ რუბლიოვსკისთან 15 სვლაში ყაიმი გაახერხა და მესამე ადგილზე დაასრულა შეჯიბრება, რაც ერთმა რუსულმა ინტერნეტ-სერვერმა „მოულოდნელობად" მონათლა, თუმცა ფიდეს რეიტინგ-ლისტის მიხედვით ქართველი ისედაც მეოთხედ იყო განთესილი. მთავარი სხვაა — აზმაიფარაშვილმა თვით ალექსეი შიროვი დატოვა მეოთხე პოზიციაზე და მხოლოდ ვასილი ივანჩუკისა და ევგენი ბარეევს ჩამორჩა. ივანჩუკმა ბოლო ტურში შავებით 70-სვლიანი პარტიაში სომეხი არტაშეს მინასიანი დაამარცხა და ტურნირიც მოიგო, ბარეევმა კი ჰოლანდიელი ჯეროენ პიკეტი დაამარცხა. ტურნირის საბოლოო შედეგები ქვემორე ცხრილში იხილეთ.

ზურაბ აზმაიფარაშვილი

1. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — 5; 2. ევგენი ბარეევი (რუსეთი) — 4,5; 3. ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) — 4; 4-6. ალექსეი შიროვი (ესპანეთი), ჯეროენ პიკეტი (ჰოლანდია), სერგეი რუბლიოვსკი (რუსეთი) — 3,5; 7-8. არტაშეს მინასიანი, სმბატ ლპუტიანი (ორივე სომხეთი) — 2

დავით გულუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი

II ტური

მონაკო 2:5 ნანტი

1:0 ნონდა (5), 1:1 მონტერუბიო (9), 1:2 და როშა (17), 1:3 მონტერუბიო (19), 1:4 ზიანი (31), 2:4 ბონალი (59), 2:5 ოლემბე (85)

სენტ ეტიენი 3:0 მარსელი

1:0 სარი (28), 2:0, 3:0 ალექსი (70, 72)

მეორე დივიზიონი. II ტური

ლორიანი 1:1 ნიმი

დანია

II ტური

ჰერფიოლგე 1:5 ვიბორგი

ჩეხეთი

II ტური

ბრნო 1:2 სპარტა

შვეიცარია

V ტური

სერვეტი 5:2 ძსამაძსი

სენტ გალენი 3:1 ლოზანა

ბურთი, ბურთი

ბეისბოლის მთავარი სუვენირი ტრიბუნაზე გადმოვარდნილი ბურთია. ამიტომ, გასაკვირია არაა, რომ „ნიუ იორკ იანკის“ ერთ რომელსამე ფანს წელიდან ელასტიური ქამარი შეუხსნია და მისი ზუსტი გაქნევით ცდილობს ბურთის დაჭერას. „იანკი“ კი „კანზას სიტი როიალზს“ ეთამაშება.

სოლსკიაერი... ბოლო წუთი... მანჩესტერი — ბაიერნი

REUTERS მიუნხენიდან

ნორვეგიელი სოლსკიაერის ბოლო წუთზე გატანილი გოლით „მანჩესტერ იუნაიტედმა“ წუხელ ფიგუს გარეშე მოთამაშე მადრიდის „რეალს“ 1:0 მოუგო და მიუნხენის „მასტერ 2000“-ის ოთხთა ტურნირის ფინალში გავიდა. იქ მისი მეტოქე თურქული „გალათასარაის“ 3:1 დამმარცხებელი „ბაიერნია“

ინჟინრის გოლფი

ინჟინერი ტიმ ოსეილი მრავალ ეშმაკურ რამეს იგონებს. ამ ფოტოზე ის ამბავია აღბეჭდილი, როცა გოლფის თამაშში კომპიუტერული და ვიდეო ტექნიკაც გამოიყენება და მინდორი საჭირო არ არის. ვირტუალური დისტანცია, ვირტუალური ორმოები, გამოთვლილი სიჩქარე და სამიზნე. მხოლოდ ყვანჯი გჭირდება, ბურთებიც კი ვირტუალურია. მაგრამ ეს სპორტი აღარ არის, ეს მათემატიკაა და არა გვგონია, ოდესმე ტაიგერ ვუდსი ამ თამაშმა გაიტაცოს.

საჩუქრად მომჯობინებულს

ქალია ენბიეი, ისეთივე ენბიეია, როგორიც უნდა იყოს ქალთა ენბიეი. მაყურებელი ბლომად ჰყავს და პროფესიული კლუბებიც იმ ქალაქებშია დაფუძნებული, რომლებშიაც კაცთა ენბიეი მეფობს. გუნდების სახელებიც კი ახლოა კაცთა გუნდების სახელებთან. მაგალითად „ფინიქს მერქიური“ „ფინიქს სანზს“ ეხმიანება. მერკური და მზეთ. „სიელტ სთორში“, „სიეტლ სუპერსონიკსს“ (ქარბუქი და ზეგგერებიო). მოკლედ „მერქიურიმ“ „სტორმს“ 85:63 მოუგო და თავის ახალმომჯობინებულ, ფეხნაოპერაციევ მწვრთნელს შერილ მილერს კარგი საჩუქარი მიუძღვნა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge